

ჩემი
სასოფლო-სამეურნეო
ბიზნესი



ავტორები: პროფესორი ზადრი რამიშვილი, დოქტორი ნათელა გიუნაშვილი.

გამოცემას საფუძვლად დაედო პროექტის ეკონომიკური გუნდის მიერ მოწოდებული პირველადი და ანალიტიკური მასალები.



პროექტი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ
This project is funded by the European Union



მვირფასო მკითხველო!

თუ გაინტერესებთ ან უკვე უძღვებით მცირე ფერმერულ მეურნეობას, ორჭოფობთ ან სურვილი გაქვთ გაერთიანდეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში, ეს გამოცემა დაგეხმარებათ და მოგაწვდით სასარგებლო ინფორმაციას.

გამოცემაში გავითვალისწინეთ ფაქტები და პრობლემები, რაც გამოჩნდა ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის 8 თემში ფერმერებთან, განსაკუთრებით კი ფერმერ ქალებთან მუშაობის პროცესში. მათთან ერთად ჩვენმა გუნდმა შექმნა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეთავაზებისა და გაყიდვის მექანიზმი - პროფესიულ ენაზე - სათემო მარკეტინგის მართვის სისტემა, ეკონომიკური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ - თემთაშორისი მოწოდების ჯაჭვის ორგანიზაცია. ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროპის კავშირის მხარდაჭერით.

მათ, ვინც ვერ შეძლო ემუშავა ჩვენთან, ან აქტიურად ითანამშრომლა, მაგრამ სჭირდება ინფორმაციის განახლება ან დამატებითი კონსულტაცია, გამოცემა აკვალიანებს მათი ფერმების სიახლოვეს არსებული სათემო საკომუნიკაციო ოფისების და იქ ხელმისაწვდომი საინფორმაციო და ტექნიკური რესურსების შესახებ.

რადგან გამოცემა ეფუძნება ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის სასოფლო-სამეურნეო თემების გამოცდილებას, ჩვენი ინფორმაცია ყველაზე აქტუალურია ამავე და მეზობელი ქვემო და ზემო რაჭის თემების პრაქტიკოსი ფერმერებისათვის, თუმცა არც სხვა საშუალო და მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლებისათვის იქნება ინტერესმოკლებული.

ამ ფერმერებს გამოცემა აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და მისამართებს მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების მიღების, კომპეტენტურ ექსპერტთან დაკავშირების, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციის მიღების, ახალი ცოდნის გამოყენებისათვის, რაც მნიშვნელოვანია ფერმერის ცხოვრებაში.

გარდა ამისა, გამოცემა დაგაკვლიანებთ იმ საკითხებზე, რაც პრობლემურად ან მნიშვნელოვნად გამოიკვეთა სათემო მარკეტინგის მართვის სისტემების აგების პროცესში, მათ შორის ინფორმაციას იაფ, ეფექტურ და ჯერ-ჯერობით არატრადიციულ ტექნოლოგიურ მიდგომებზე, რაც შეიძლება გამრღვევი ფაქტორი აღმოჩნდეს მცირემიწიანი ფერმერული მეურნეობების ფეხზე დაყენებისა და ფერმერული კოოპერატივების ფორმირებისათვის.

თუ გაინტერესებთ კონსულტაცია და ადგილზე დაკვალიანება ქვემო სვანეთში, ლეჩხუმში, ზემო ან ქვემო რაჭაში, ლანჩხუთში ან ქალაქ ფოთის მიმდებარე თემებში - გთხოვთ მიმართოთ ჩვენს რეგიონულ საინფორმაციო ჰაბს.

თუ გსურთ გაეცნოთ თქვენი თემისათვის პერსპექტიულ სასოფლო-სამეურნეო დარგებს ქვემო სვანეთში, ლეჩხუმში, ზემო ან ქვემო რაჭაში - გაეცანით ინფორმაციას გვერდებზე: 22-45

თუ გსურთ წიგნიერად გაყიდოთ (იყიდოთ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი და ამ პროცესში არ დაზარალდეთ - გაეცანით ინფორმაციას გვერდებზე: 12- 14

თუ გაინტერესებთ იაფი, ეფექტური და ჯერ-ჯერობით არატრადიციული ტექნოლოგიური მიდგომები, რომლებიც საქართველოში უკვე შემოსულია, მაგრამ არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის - გაეცანით ინფორმაციას გვერდებზე: 30-34

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები რატომ დავიწყო ჩემი სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი ?

- ▶ იმიტომ, რომ საქართველო და განსაკუთრებით მისი მთიანი რეგიონები (მ.შ. სვანეთი და რაჭა - ლეჩხუმი) მდიდარია აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო რესურსებით (იხ. გვ.22-45).
 - ▶ იმიტომ, რომ ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობა უშვებს მთელ რიგ შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის და ამ შეღავათებისა და მათი საზღვრების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გვინდა სერიოზულად, სტაბილურად და უზიფათოდ ვიმუშაოთ ქვეყნის შიდა აგრარულ ბაზარზე (იხ. გვ.12 და 14).ხოლო თუ დაინტერესდით და კითხვები გაგიჩნდათ, დაგვირეკეთ, მოგვწერეთ ან გვეწვიეთ ჩვენს ჰაბებში (იხ. გვ.45);
 - ▶ იმიტომ, რომ ძალიან მალე ძალაში შევა ახალი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სერიოზულ შეღავათებს დააწესებს მთის მოსახლეობისათვის; მთის კანონპროექტს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს ჰაბებში;
 - ▶ უნდა გაითვალისწინოთ, რომ უკვე ძალაშია შესული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვისას მისი ეტიკეტირებისა და სერტიფიცირების ზოგიერთი მოთხოვნა, ხოლო ბევრი ასეთი მოთხოვნა ძალიან მალე ამუშავდება - ხაზს ვუსვამთ - ქვეყნის შიდა ბაზარზე! ;
- ამ მოთხოვნების საფუძვლიანი ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ბაზარზე თავისუფალი გაყიდვისათვის; ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპული საბაზრო სივრცისაკენ

¹ ბევრი ჩვენათაგანი ფიქრობს, რომ სერტიფიცირება და სტანდარტების დაცვა მხოლოდ საექსპორტო პროდუქციას ეხება. ეს ნამდვილად სწორი იყო უახლოეს წარსულში, მაგრამ დღეს სხვა რეალობა დგება, გთხოვთ გაეცნოთ ინფორმაციას ამ გამოცემის 2-3 გვერდებზე, ხოლო თუ კითხვები გაგიჩნდათ, ნუ გადადებთ, დაგვიკავშირდით!

ემოდრობთ. ხოლო ევროპულ ბაზარზე შესვლისათვის აუცილებელი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესრულების უნარის გამომუშავება უნდა მოხდეს ადგილობრივ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების პროცესში. მარტივად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის წარმოების ევროპული წესი ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა გახდეს.

ყველას ძალიან გვიხარია, რომ ევროპა ფართოდ გვიხსნის ურთიერთობების კარიბჭეს და გვთავაზობს, „ რადგან მიგაჩნიათ, რომ თქვენი კულტურა ევროპულია, და გსურთ შემოუერთდეთ დიდ ევროპულ ოჯახს, მოდით, გელით“.

ბევრი ჩვენთაგანი ამას ძალიან მარტივად და სწორხაზოვნად იგებს და ეს უკვე გახმაურდა ბევრი მედია ეთერიდან - „ჩვენთვის იხსნება ევროპის ბაზრები, ჩვენი საქონელი შევა ევროპის კავშირში“ და ა.შ.

საქონელს, რომელიც ამას იმსახურებს, ნამდვილად აქვს ამ ბაზრებზე შესვლის შანსი, მაგრამ როგორ გავერკვეთ, რომელი იმსახურებს ამას?

ბევრ ჩვენთაგანს ყურს ჭრის (მეტი რომ არ ვთქვათ) სიტყვები: სტანდარტები, სერტიფიკაცია, ეტიკირება. . . . ძალიან არ გვიყვარს სიტყვა „ვალდებულება“, თუ ის ჩვენ გვეხება - ვალდებულება მომხმარებლის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე . . .

ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად როგორ დაუკავშირდები ევროპას; ყველაზე მთავარია, ევროპის კულტურული სივრცის ნაწილი გახდე. სოფლის მეურნეობა ევროპულად აგრარულ კულტურას ნიშნავს - სოფლის სამეწარმეო კულტურას. და ევროპულ ბაზარზე შესვლის შანსი სწორედ იმ საქონელს ექნება, რომელიც ასეთი კულტურით იწარმოება.

თუ გაგიჩნდათ კითხვები, ნუ გადადებთ, აუცილებლად დაგვირეკეთ, ან გვეწვიეთ ჩვენს ჰაბებში, ხოლო თუ კომპიუტერით სარგებლობთ, მოგვეწერეთ; საკონტაქტო მონაცემებს იპოვით ამ გამოცემის 45-ე გვერდზე

ხოლო, თუ შევთანხმდით, რომ წიგნიერად და წესების დაცვით გავმართოთ ჩვენი საწარმო, ერთად ვიფიქროთ, რა ნაბიჯები უნდა დავგეგმოთ, რომ ავაწყოთ ჩვენი აგრარული ბიზნესი?

აუცილებელი ნაბიჯები, იმისათვის რომ დავგეგმო ჩემი სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი

შესავალი

თავდაპირველად ნებისმიერ ბიზნეს-გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ საქმიანობის მოკლე აღწერა, რასაც გეგმავს მეწარმე. ასევე აუცილებელია თავად მეწარმის და/ან კომპანიის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოტანა.

უპირველესად ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეთ, რა გინდათ რომ აწარმოოთ?

რატომ - რა მიზნით გსურთ საქმიანობა? (პროდუქტს, რასაც აწარმოებთ, უმთავრესად გამოიყენებთ როგორც ოჯახის სარჩოს, თუ წარმოებული პროდუქტის გაყიდვით გეგმავთ შემოსავლის მიღებას?)

გარდა ამისა ყოველი ბიზნესისთვის შეიძლება მეტად აქტუალური აღმოჩნდეს ესა თუ ის საკითხი. მაგალითად, თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის ამჟამად მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ნორმატივების, სტანდარტების, წესების, მოთხოვნების შემოღებისა და დაცვის საკითხები.

მიზნის განსაზღვრა

მენეჯმენტში ცნობილია მიზნისა და მისიის ცნებები.

მისია ნიშნავს იმას, რასაც საწარმო აკეთებს საზოგადოებისთვის, მომხმარებლისთვის. რის შესახებაც, როგორც აღვნიშნეთ, ინფორმაცია შესავალშივე უნდა იყოს წარმოდგენილი. ხოლო მიზანი კი რაოდენობრივად ჩამოყალიბებული, დროში მკაცრად ორიენტირებული შესრულებადი მოცემულობაა. ბიზნესის უმთავრესი სტრატეგიული მიზანი კი მოგების მიღებაა, თუმცა ასევე არსებობს ლოკალური მიზნები, რომლებიც ამა თუ იმ სტრუქტურულ ერთეულს დროის შედარებით მოკლე პერიოდში განესაზღვრება. მეწარმემ შეიძლება უარი თქვას ყოველწლიური მოგების მიღებაზე, მოახდინოს თანხის რეინვესტირება (ანუ ჩაბრუნება) წარმოებაში ბიზნესის გრძელვადიანი განვითარების სასარგელოდ. ესეც მიზანია, ოღონდ გრძელვადიანი და მას საკმაოდ კარგი დადგეგმვა სჭირდება. მარტივად რომ ითქვას, რა დროისთვის რამდენის წარმოებას აპირებთ და რა იქნება მოგება, სწორედ ეს უნდა განისაზღვროს ბიზნეს-გეგმის მოცემულ ნაწილში.

ინფორმაციის მოპოვება

ბიზნეს-გეგმისთვის სრულიად აუცილებელია რაც შეიძლება საქმიანი და სრული ინფორმაცია არსებობდეს. ინფორმაციას მოიპოვებენ როგორც გარემოდან ასევე საწარმოდან. არსებობს ფართოდ გავრცელებული მიდგომა, რომელიც ბიზნესის სიძლიერეების, სისუსტეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს მოიცავს.

ბიზნესის სიძლიერეები: ნებისმიერი აქტივი, რომელსაც ფლობთ, თქვენი ბიზნესის სიძლიერეა. მაგ. ბარი, ნიჩაბი, ტრაქტორი, ადამიანური რესურსი და ა.შ. მაგრამ, ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს არამატერიალურ აქტივებსაც.

მაგ. იქნებ თქვენს ოჯახს აქვს თაობიდან თაობაზე გადაცემული

მდიდარი გამოცდილება?

ან განსაკუთრებულ შრომით უნარს ფლობთ?

ან, მეზობელი წარმატებულად მისდევს ამა თუ იმ წარმოებას და თქვენც გსურთ აითვისოთ იგი და მეზობელი მზად არის დახმარებისთვის?

ან თუ ცხოვრობთ ქვემო სვანეთში, ლეჩხუმში, ზემო ან ქვემო რაჭაში და თქვენი გარემო პირობები იძლევა ეკოლოგიური წარმოების საშუალებას?

ბიზნესის სისუსტეები: თუ ნებისმიერი აქტივის ფლობა ბიზნესის სიძლიერეა, მათი უკმარისობა ან არქონა სისუსტეა. არ შეიძლება ბიზნესის ისე დაწყება, თუ წარმოებისთვის საჭირო ამა თუ იმ საშუალებას არ ფლობთ ან არ გაქვთ მისი საჭირო დროს მოპოვების საშუალება.

ყველაზე გავრცელებული შეცდომა რაც ქართველ გლეხს ახასიათებს, არის ის, რომ ისინი დიდ ყურადღებას არ უთმობენ არამატერიალური აქტივების (ინფორმაცია, ცოდნა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები) ფლობას. არა და სადღეისოდ სწორედ ეს აქტივები ხდება ბიზნესში წარმატების საფუძველი.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ბიზნესის სათანადოდ დაგეგმვისა და სწორი მარკეტინგული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. ცხადია, ყველა ფერმერს მსგავსი მიმართულებით განათლებას ვერ მოთხოვ, ამიტომ მათ ამ საქმისთვის პროფესიონალებს უნდა მიმართონ (მათ შორის ჩვენს ჰაბს).

ბიზნესის შესაძლებლობები: ბიზნესის შესაძლებლობები გარე გარემოში წარმოიქმნება

მაგ. სად ცხოვრობს ან მუშაობს თქვენი პოტენციური მყიდველი?

როგორ ფიქრობთ, სად გაიყიდება უფრო მეტი წარმატებით თქვენი პროდუქტები:

- ადგილზე - თქვენსავე სამეზობლოში,

- თქვენი თემის მეზობლად,

- საქართველოს სხვა რეგიონებში თუ სხვა ქვეყნებში? აპირებთ თუ არა თქვენი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანას? სად?

- ვინ იქნებიან თქვენი პარტნიორები?

- ვისგან აპირებთ საჭირო საწარმოო დანიშნულების საშუალებების შეძენას? ფინანსური საშუალებების მოპოვებას?

- საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობებისას, მათთვის როგორ გეგმავთ თქვენი წამოწყების დასაბუთებას? (საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ჰაბებს).

- მოსალოდნელია თუ არა რაიმე ტექნოლოგიური სიახლე? გაიხსნება თუ არა რომელიმე ახალი დიდი ბაზარი? და ა.შ.

ბიზნესის საფრთხეები: გარემოში თქვენი ბიზნესისთვის მრავალი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა შეშინდეთ, არამედ საჭიროა აღნიშნული საფრთხეების რაც შეიძლება

დაწვრილებითი აღმოჩენა და აღწერა.

ბიზნესის უმთავრესი საფრთხე კონკურენტებისგან მოდის:

- ვინ იქნებიან თქვენი კონკურენტები - ანუ ის მეწარმეები, რომლებიც ანალოგიურ პროდუქციას აწარმოებენ?

- რითი შეგეცილებიან ისინი მყიდველის გულის მოგებაში?

- რით აპირებთ აჯობოთ მათ?

კონკურენტებზე წარმატება ბევრი მიმართულებით შეიძლება იქნას მოპოვებული, მაგალითად:

- თუ თქვენი პროდუქტი უკეთეს, უფრო სუფთა გარემოში არის ნაწარმოები

(ხშირად გვესმის „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“);

- არ გიხმარიათ მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები, ქსენობიოტიკები, ან ძალიან წიგნიერად იხმარეთ; (ამ ნივთიერებებს სარგებელი მოაქვთ თუ მცირე - დოზით მოიხმართ, თუ გადაამეტებთ, შეიძლება მომხმარებლის ჯანმრთელობა დააზიანოთ).

- მხოლოდ ორგანული სასუქი იხმარეთ;

- იყენებთ წარმოების ისტორიულ, განსაკუთრებულ წესს;

- ცხოველებისა და ფრინველის შემთხვევაში იყენებთ მხოლოდ ბუნებრივ საკვებს ან ბუნებრივ სავარგულეებში კვებავეთ;

- თქვენს პროდუქტს ძალიან კარგი მახასიათებლები აქვს, საღია, კარგად გამოიყურება, გემრიელია და ფასიც მისაღებია!

როგორც ხედავთ ეს ის ფაქტორებია, რომლებიც თქვენ ჩვეულებრივად გეჩვენებათ, მაგრამ ეს ამავე დროს არის თქვენი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა. მათზე დაყრდნობით, თუ ამავე დროს დაცული იქნება ევროპის შესაბამისი მოთხოვნები, არ გაგიჭირდებათ პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გაყიდვა.

გარდა კონკურენტებისა ბიზნესს საფრთხეები სხვა ბევრმა გარემოებამ შეიძლება შეუქმნას. სოფლის მეურნეობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მათი როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძლევადიანი ცვალებადობა (გლობალური დათბობა).

თუ პირველ მათგანთან გამკლავება თანდათანობით სულ უფრო ადვილი ხდება მეტეოროლოგიური პროგნოზირების დახვეწის მეშვეობით, გლობალური დათბობის განჭვრეტა რთული საქმეა და მასთან ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უნდა მოხდეს შეგუება.

მარკეტინგული კომუნიკაცია

მარკეტინგული კომუნიკაცია პროდუქციის შესახებ მომხმარებლამდე ინფორმაციის მიწოდების ისეთ მეთოდებს მოიაზრებს, როგორც არის რეკლამა, სხვადასხვა ღონისძიებები, აქციები, შეფუთვა და ა.შ.

სამწუხაროდ, ქართველი გლეხობა უმნიშვნელოდ მიიჩნევს მათ, რაც დიდი შეცდომაა. მაგალითად, თუ გლეხი აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღ პროდუქტს, რომელიც რამდენიმეჯერ ძვირი შეიძლება ღირდეს, ეს უპირატესობა იკარგება თუ ამის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება მყიდველს. სათანადოდ შეფუთული პროდუქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საწარმოსთვის. ამ დროს შეფუთვა უზრუნველყოფს პროდუქტის ულუფებად დანაწილებას, დაცვას, ის არის ინფორმაციის მატარებელი და გაყიდვების სტიმულირებასაც ახდენს. ამიტომ გლეხებმა უნდა გაითვალისწინონ ყოველივე ეს და თუ დამოუკიდებლად ვერ აგვარებენ ამ პრობლემებს, ამ მიზნით კოოპერირებას უნდა მიმართონ.

ლოგისტიკა

სოფლის მეურნეობისთვის უმნიშვნელოვანესია პროდუქციის ტრანსპორტირება და შენახვა. მისი დიდი ნაწილი სწორედ ამ დროს იკარგება. ამიტომ ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს პროდუქტის ტრანსპორტირების ხარჯი, გადამზიდავი საშუალება, მისი დატვირთვა და ამ დატვირთვის შესაბამისად წარმოქმნილი ზედმეტი ხარჯი.

თუ თქვენ მიერ წარმოებული პროდუქტი ვერ ავსებს შერჩეული სატრანსპორტო საშუალების მოცულობას, თავიდანვე უნდა იფიქროთ, ვის შეიამხანაგებთ. საქართველოს მთიანეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადატანისთვის უმთავრესი სატრანსპორტო საშუალებაა საავტომობილო ტრანსპორტი. რთული რელიეფის და გზების არასახარბიელო მდგომარეობის გამო, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმისთვის. ამ მიმართულებით მეტად პერსპექტიული იქნება მეწარმეთა კოოპერირება.

საფინანსო პროექტის შედგენა

საფინანსო პროექტი ბიზნეს-გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის ერთგვარ საშედეგო როლსაც ასრულებს, რადგან სწორედ აქ ხდება განსაზღვრა იმ თანხისა, რაც მეწარმეს ბიზნესის დასაწყებად სჭირდება. ამისთვის კი ბევრი ქმედება უნდა განხორციელდეს:

უპირველესად აუცილებელია გაყიდვების მოცულობების განსაზღვრა, რისი საფუძველიც თქვენ მიერ ბაზრისა და მყიდველების შესახებ მოპოვებული მონაცემები უნდა გახდეს. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რა სახის და რამდენი წარმოების საშუალება, შრომითი რესურსი და ა.შ. დაგჭირდებათ, ხოლო მათი

ერთობლივი ღირებულება კი იქნება თქვენთვის საჭირო საწყისი ინვესტიცია. მაგრამ, არცერთი საფინანსო დაწესებულება კრედიტს ან თუნდაც გრანტს არ მოგცემთ თუ თქვენი წამოწყების მომგებიანობაში არ დარწმუნდა, ამიტომ დასაბუთებულად უნდა განისაზღვროს პროდუქციის ფასები და ის მომხმარებლისთვის (მყიდველისთვის) მისაღები უნდა იყოს. ხოლო პროდუქტის თვითღირებულება ფასებზე მცირე უნდა იყოს და კრედიტის დაფარვის შესაძლებლობასაც უნდა იძლეოდეს.

რისკები

ნებისმიერ ბიზნესს თან ახლავს რისკები, რაც გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად წარმოიქმნება. ყოველი მეწარმე ვალდებულია რაც შეიძლება ზუსტად, რაოდენობრივად განსაზღვროს მათგან გამოწვეული ზარალი. რისკებისა და მათგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის საჭიროა ბიზნეს-გეგმაში გათვალისწინებული იყოს გარკვეული თანხა.


მეწარმისთვის რისკების შედეგად გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა დაზღვევა, თუმცა სამწუხაროდ ეს სფერო საქართველოს სოფლის მეურნეობაში ნაკლებადაა განვითარებული.

შედეგები

ხშირად ბიზნეს-გეგმის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ის ძირითადი საფინანსო, საწარმოო თუ სხვა სახის შედეგები, რასაც მიზნად ისახავს ეს დოკუმენტი. მაგალითად: რა იქნება საწარმოს მოგება, რა ვადა დასჭირდება ინვესტიციების უკუგებას, რამდენ ადამიანს დაასაქმებს ბიზნეს-წამოწყება, რამდენი გადასახადი შევა ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელი ახალი ტექნოლოგიის დანერგვა მოხდება და ა.შ. ყოველი ამგვარი მიღწევა ხაზგასმული უნდა იყოს და მეტი თვალსაჩინოებისთვის ზოგჯერ დასკვნით ნაწილში ხდება მათ შესახებ მსჯელობა.

ამ ყველა საკითხსა და კითხვაზე პასუხის გასაცემად და თქვენს დასახმარებლად, ევროპის კავშირის თანადგომით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მართვის სისტემა, ექსპერტები მართვას სისტემას სხვანაირად მენეჯმენტსაც არქმევენ .

როგორ მუშაობს სასოფლო-სამეურნეო მართვის სისტემა?



ამ მართვის სისტემაში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ხორციელდება ცენტრალურ ელექტრონულ ნაწილში, რომელშიც პირდაპირ შესვლა შეუძლიათ იმ ადამიანებს, ვინც სარგებლობს კომპიუტერით და ინტერნეტით.

თუ თქვენ ჯერ-ჯერობით ვერ სარგებლობთ აქტიურად კომპიუტერით და ინტერნეტით, მაგრამ გაქვთ მობილური ან სილქნეთის ტელეფონი², სისტემა გაძლევთ შესაძლებლობას თავისუფლად დაუკავშირდეთ მას, განათავსოთ ინფორმაცია თქვენი საქონლის შესახებ, დაუკავშირდეთ მყიდველს, მიიღოთ მისგან მოთხოვნა, შეთანხმდეთ და ა.შ.

ამ საქმეში დაგეხმარებათ თქვენი უახლოესი სათემო საკომუნიკაციო ოფისი ანუ ჰაბი.

(გთხოვთ გაეცნოთ ინფორმაციას ქვეთავში „რა არის მარკეტინგი?“ , გვ. 10)

გარდა საკომუნიკაციო და მყიდველთან დაკავშირების ამოცანისა, ჰაბი გეხმარებათ გაერკვეთ საბაზრო ფასებში, სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მოთხოვნებში, საგადასახადო საკითხებში, სად და როგორ მოიძიოთ სასოფლო-სამეურნეო სესხი, როგორ დაუკავშირდეთ თქვენთვის საჭირო ექსპერტს; თუ თქვენ ჰაბის აგრარული ქსელის წევრი გახდებით, პერიოდულად მოგიწევთ ვებ-კონფერენციაზე წამყვან ექსპერტთან, რომელსაც თქვენთვის სასურველ კითხვებს დაუსვამთ.

სასოფლო-სამეურნეო თემში მოქმედი ჰაბი თქვენს ინფორმაციას გადასცემს მართვის სისტემის ცენტრალურ ნაწილში, საიდანაც თქვენი შეთავაზება ხვდება მყიდველთან. მყიდველი, თავის მხრივ, მისი უახლოესი ჰაბის საშუალებით უკავშირდება თქვენს ჰაბს და თქვენ.

² სილქნეთის ქსელის ტელეფონები აგზავნიან და დებულობენ სმს-ებს, სმს მაღიან მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ელემენტია ჩვენს სისტემაში!

ყიდვა-გაყიდვის პროცესში ჰაბები ძალიან მნიშვნელოვან დავალებას ასრულებენ - ისინი ადასტურებენ გასაყიდი საქონლის არსებობისა და გამყიდველის მიერ გაცხადებული მონაცემების სინამდვილეს და მყიდველის გადახდისუნარიანობას, ისე, რომ არავინ დაზარალდეს.

შეიძლება ასეც ვთქვათ, ჰაბები გვეხმარება სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგში.

რა არის მარკეტინგი?

ძალიან ზოგადად რომ ვთქვათ, მარკეტინგი არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იმის შესახებ, თუ როგორ საქონელს მოითხოვს მომხმარებელი, რა რაოდენობით მოითხოვს, რა პირობები უნდა შესრულდეს, იმისათვის რომ მომხმარებელმა იყიდოს მისთვის სასურველი საქონელი, რამდენად მზად არის საქონლის მწარმოებელი შეასრულოს ეს პირობები.

მთიან თემებში ეს ინფორმაცია ხშირად არ არის ხელმისაწვდომი.

ჩვენი გამოცემა დამუშავდა პროექტის ფარგლებში, რომელმაც გადაჭრა ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა და გამოსცადა, როგორ შეიძლება მუშაობდეს სათემო მარკეტინგის სისტემა მთიან თემებში.

სათემო მარკეტინგის სისტემა: რა არის ეს?

სათემო მარკეტინგის სისტემა საშუალებას აძლევს ნებისმიერ ფერმერს განათავსოს ინფორმაცია თავისი პროდუქციის შესახებ, განმარტოს რა, რამდენი, რა ფასად უნდა გაყიდოს, დაუკავშირდეს მყიდველს და მიიღოს მისგან სათანადო ინფორმაცია. ეს ყველაფერი არ მოითხოვს არც კომპიუტერის ცოდნას და არც ინტერნეტში მუშაობას, თუ ფერმერი არ ან ვერ მეგობრობს ამ ტექნოლოგიებთან: საკმარისია მას ჰქონდეს, თუნდაც ძველი თაობის მობილური ტელეფონი და შეეძლოს, სულ მცირე, სმს გზავნილის წაკითხვა.

იმ თემებში, სადაც ასეთი სისტემა მუშაობს, გახსნილია სათემო საკომუნიკაციო ოფისები მუდმივი ინტერნეტით, კომპიუტერული და მობილური ტექნიკით. ფერმერი მობილურის საშუალებით ან პირადად აწვდის ინფორმაციას ასეთ საკომუნიკაციო ოფისს. ოფისის თანამშრომლები ამ ინფორმაციას გადასცემენ უკვე ელექტრონული სახით, ხოლო საპასუხო ინფორმაციას ფერმერი ღებულობს იმ ტექნიკური საშუალებით, რითაც მან ისარგებლა ინფორმაციის განათავსებისას.

ასეთ საკომუნიკაციო ოფისს სხვა სახელიც აქვს - ჰაბი.

ჰაბი გათავისუფლებთ გადამყიდველთან ურთი-ერთობისაგან და გეხმარებათ მყიდველთან პირდაპირი კავშირის დამყარებაში.

ჰაბების საკონტაქტო დეტალებს ნახავთ გამოცემის 45-ე გვერდზე.
როგორ დაუკავშირდეთ ჰაბს?

გთხოვთ გადაშალოთ ეს გამოცემა 45-ე გვერდზე

აქ იპოვით თქვენთვის საინტერესო ელექტრონული ფოსტის მისამართებს და ტელეფონის ნომრებს.

გარდა რაჭა-ლეჩხუმისა სხვაგან სად არის ჰაბები?

- ▶ თვითმმართველ ქალაქ ფოთში
- ▶ თბილისში,

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაბის ფუნქციას ასრულებს თბილისში განლაგებული ასოციაცია-საზოგადოება განვითარებისათვის - ოფისი. ეს ორგანიზაცია პროექტის ერთ-ერთი განმახორციელებელი პარტნიორია.

▶ დასავლეთ საქართველოში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ნიგეზიანის თემში აპრილიდან ამუშავდება კიდევ ერთი ჰაბი.

გთხოვთ გადაშალოთ ეს გამოცემა 45-ე გვერდზე.

რატომ არის მნიშვნელოვანი შუაკაცის გარეშე დაუკავშირდე მყიდველს და ვიცოდე რა პირობებს მიყენებს იგი?

მყიდველთან, მომხმარებელთან პირდაპირი კონტაქტი მოგცემთ საშუალებას უკეთ გაითვალისწინოთ მომხმარებლის მოლოდინი, სურვილი, მიწოდების პირობები, უფრო მოქნილად განსაზღვროთ თქვენი პროდუქციის ფასი, ზუსტად განსაზღვროთ მისი თვითღირებულება და თქვენი შემოსავალი უკეთ დაგეგმოთ არა ერთჯერადი აქციით, არამედ მუდმივი კლიენტების შემოკრებით და ფიუჩერული გარიგების დადებითაც;

აქ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ალბათ დაგჭირდებათ თქვენი მოსავლის პროგნოზირება, თქვენი პროდუქციის ნიმუშების წინასწარ გაგზავნა (თანაც ეს ნიმუშები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს იმ პროდუქტს, რისი დიდი რაოდენობით გაყიდვასაც აპირებთ) და თანაც კარგი იქნება, თუ შეაფასებთ თქვენს მიწოდების პოტენციალს - თვეში ან წელიწადში რამდენის მიწოდებას შეძლებთ ; შეიძლება თქვენი მეზობლების მიწოდების პოტენციალიც გაითვალისწინოთ (გთხოვთ შეადაროთ კითხვები გვერდებზე 4 და 8) .

რა არის თვითღირებულება?

როგორ უნდა განვსაზღვრო ჩემი პროდუქტის ზუსტი თვითღირებულება?

როგორ დავითვალოთ ფასი?

გთხოვთ დაუბრუნდეთ ინფორმაციას გვერდებზე 3,4,5, და 6, ხოლო თუ პასუხი ვერ მიიღეთ, მიმართოთ ჰაბს , ან თუ კომპიუტერთან მეგობრობთ, მოგვწეროთ .

როგორ მივაწოდო მყიდველს საქონელი?

გთხოვთ მიმართოთ ჰაბს, აქ გაცნობით ტრანსპორტირების უკვე გამოცდილ გზას, ან თუ კომპიუტერთან მეგობრობთ, დაგვიკავშირდით

ელექტრონული ფოსტით, საკონტაქტო მონაცემებს ნახავთ 45 გვერდზე.

რას ნიშნავს მუდმივი კლიენტი?

რას ნიშნავს ფიჭურული გარიგება?

რას ნიშნავს მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესი?

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსავლის პროგნოზირება?

რატომ უნდა შეესაბამებოდეს მისაწოდებელი პროდუქტი წინასწარ მიწოდებულ ნიმუშს?

რას ნიშნავს მიწოდების პოტენციალი?

მე და მეზობელი ფერმერი ერთსა და იმავე პროდუქტს ვაწარმოებთ; კონკურენტები ვართ?

როგორ დავუკავშირდეთ ექსპერტს ?

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, გთხოვთ დაუბრუნდეთ ინფორმაციას გვერდებზე 3,4,5,6, ხოლო თუ რომელიმე კითხვა უპასუხოდ დარჩა, დაგვიკავშირდით. საკონტაქტო მონაცემებს ნახავთ 32-ე გვერდზე.

მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ ჰაბში, ჰაბი შეაგროვებს აუდიტორიას, ერთსა და იმავე კითხვით დაინტერესებულ ფერმერებს, დაგითქვამთ საინფორმაციო სესიის დღეს და შეგატყობინებთ;

თუ კითხვა სასწრაფოა და არ მოითხოვს ექსპერტის ძალიან მაღალ კვალიფიკაციას, ჰაბი დაგაკავშირებთ ადგილობრივ ექსპერტს.

თუ თქვენ მომიჯნავე რეგიონში ცხოვრობთ და არ მეგობრობთ კომპიუტერთან, ჰაბი მოგიწვევთ ცოცხალ აუდიტორიაში (ე.ი. თქვენ ეწვევით ჰაბს);

თუ თქვენ ან თქვენი ახლობელი მეგობრობთ კომპიუტერთან და ხელი მიგიწვდებათ ინტერნეტზე, ჰაბი ჩაერთავთ ვებ-კონფერენციაში თქვენი საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელად.

თუ თქვენს რეგიონში ჰაბი არ არის გახსნილი, დაგვირეკეთ. ტელეფონებს და მისამართებს იპოვით 45-ე გვერდზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის დაწესებული შეღავათები

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა საკმაო შეღავათებს აწესებს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის და აქ დასაქმებული პირებისთვის. ეს პროცესი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რეალიებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად ეხმიანება ამჟამინდელი მთავრობის მიერ აღებული კურსის კიდევ უფრო გაღრმავებას. თვით საქართველოს „კანონი მეწარმეთა შესახებ“, ზოგადი ნაწილის პირველი მუხლის მესამე პუნქტი მიუთითებს სოფლად დასაქმებული პირის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, რომლის თანახმადაც „სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება . . . სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და

სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებული მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მანც.“ ეს პუნქტი დიდ თავისუფლებას ანიჭებს სოფლად დასაქმებულებს. მათ შეიძლება საქმიანობა დაიწყონ ზედმეტი ბიუროკრატიული ფორმალობების გათვალისწინების გარეშე და შემდეგ, განვითარების მიხედვით, ჩამოყალიბდნენ მეწარმე სუბიექტის იმ ფორმით, რომელიც მოცემულ მომენტში მათთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მეწარმეობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და მისი დაფუძნება შედარებით მარტივია, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-მუხლის მეორე პუნქტის თანახმად ინდივიდუალური მეწარმე საწარმოს კატეგორიას არ მიეკუთვნება.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეღავათიან საგადასახადო რეჟიმშია მოქცეული. განსაკუთრებით ეს ითქმის 2017 წლის 1 იანვრამდე არსებულ პერიოდზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის ლ) და ც) პუნქტების თანახმად, სამემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები: „2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;“, „2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;“, ხოლო 99-ე მუხლის, პირველი პუნქტის ე), ვ) და ვ1) ქვეპუნქტების თანახმად მოგების გადასახადიდან თავისუფლდება: „2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;“

„სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;“ „2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება;“ ხოლო 168 მუხლის მე-4 პუნქტის ფ) ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია „საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციასში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაყინული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე)“. ეს საკმაოდ ნიშანდობლივი შეღავათებია. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს, რომელთა მიზანიც ფერმერთა მხარდაჭერაა და რის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, თუ ფერმერები გამოხატავენ კონსოლიდირებულ პოზიციას და ის შეღავათები რაც 2017 წლამდეა დაწესებული შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდება, ეს ძალიან წაადგება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს. აქვე უნდა ითქვას, რომ კარგი იქნება ცალკე საკანონმდებლო შეღავათები დაწესდეს სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ. აქ სხვადასხვა მიმართულების გამოკვეთა შეიძლება, მაგალითად: განხორციელდეს აგრარულ სექტორში მოქმედი იმ ფირმების სუბსიდირება, სადაც დაცული იქნება გენდერული პარიტეტი; კომპენსაცია მიეცეს სოფლად მცხოვრებ დედებს; შეღავათი დაუწესდეს მთიან და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ქალებს და ა.შ.

კოოპერაცია და მისი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

ლენტეხისა და ცაგერის რაიონების პირობებიდან და მიმდინარე პროექტის კონტექსტიდან (რის მიხედვითაც მისი ძირითადი მიზნობრივი ჯგუფი მცირემემოსავლიანი ქალები არიან) გამომდინარე, მეწარმეობის ფრიად აქტუალური სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმაა კოოპერატივი, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ, ხოლო დანარჩენი სამეწარმეო ფორმების დაარსების ირგვლივ მსურველმა ძირითადი ინფორმაცია შეიძლება მიიღოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობა სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებს ყველა იმ

სარგებელს რაც კოოპერირებულმა შრომამ შეიძლება მოუტანოთ მათ და ამ საქმის პროპაგანდირებისთვის ნებისმიერი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერატივის უმთავრესი უპირატესობამის კონკრეტულ ვითარებასთან ადაპტირებაშია, ის შეიძლება სხვადასხვა დარგის თუ კონკრეტული ვითარებისთვის აქტუალური პრობლემის გადაჭრისთვის იქნას გამოყენებული, რასაც მაშინ შევხებით, როცა კონკრეტული დარგების მიხედვით განვიხილავთ ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში შექმნილ ვითარებას.

სიტყვა “კოოპერაცია” ლათინური წარმოშობისაა და ქართულად თანამშრომლობას ნიშნავს. ეს კი განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის განვითარების იმ ეტაპზე მყოფი საზოგადოებისთვის რომელზეც დღეს საქართველოა. კოოპერაცია განიხილება როგორც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ადამიანები ერთობლივად მონაწილეობენ ლოგიკურად დაკავშირებულ შრომის პროცესში. ერთობლივი მონაწილეობა ანუ თანამშრომლობა კი, იმ დროს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როდესაც მეწარმე სუბიექტები განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან, რის გამოც ისინი ვერ ახდენენ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო რესურსების მობილიზებას. საქართველოს რეალობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ კოოპერატივში ორგანიზაციულად შეიძლება გაერთიანდნენ წვრილი მწარმოებლები, რომელთაც რაიმე საერთო ინტერესი აქვთ. ეს ერთობა კი, მრავალი პრობლემის, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურის, საწარმოოს, ტექნოლოგიურის, მარკეტინგულის და ა.შ. გადაჭრისკენ არის მიმართული. კოოპერატივი ეყრდნობა დემოკრატიულ მმართველობას, საერთო ძალისხმევას, პასუხისმგებლობას და მოგების თუ ზარალის წევრთა შორის სამართლიან განაწილებას. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა ითქვას, რომ ზარალის აღბათობა კოოპერაციული შრომის ორგანიზების დროს მნიშვნელოვანდ მცირდება. გარდა ამისა, კოოპერატივები სხვა უმნიშვნელოვანესი უპირატესობებით ხასიათდებიან, კერძოდ: მათ უკეთესი შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ მარკეტინგული აქტივობა და შესაბამისად პროდუქციის გასაღების უკეთესი შესაძლებლობები გააჩნიათ; ერთობლივი საქმიანობის შედეგად მკვეთრად მცირდება რისკის დონე, ხოლო კრედიტუნარიანობა ასევე მნიშვნელოვანდ იზრდება; შესაძლებელია შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა პირველ რიგში იქიდან გამომდინარე, რომ მცირდება ერთეულ პროდუქციაზე გაწეული მუდმივი დანახარჯები, ამავე დროს, იმის გამო, რომ კოოპერატივს ცალკეულ გლეხებთან შედარებით ბევრად მეტი შესაძლებლობა გააჩნია ახალი დანადგარების და ტექნოლოგიების შეძენისა, ეს ასევე ხელს უწყობს ასეთი მეწარმე სუბიექტების ეფექტიანობის ზრდას;

კოოპერატივი წარმოების საშუალებების შესყიდვის დროსაც სარგებლობს უპირატესობით რაც უფრო დიდი მოცულობებით ნასყიდობის განხორციელებისთვის მათთვის გაწეული ფასდათმობით აიხსნება; კოოპერატივს უფრო ადვილად შეუძლია ისარგებლოს საკონსულტაციო მომსახურებით; მათი გრანტებსა თუ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში წარმატებული მონაწილეობის ალბათობა ასევე მკვეთრად იზრდება, მასშტაბების გამო თუ იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს კოოპერატივების მხარდაჭერის შეუქცევადი პოლიტიკა აქვს და ამ საქმეში საერთაშორისო დონორებიც აქტიურად არიან ჩართულნი, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ორ პრინციპს ეფუძნება რითიც ის განსხვავდება მეწარმეობის სხვა არსებული თუ ადრინდელი ფორმებისგან. ესაა დემოკრატიული მმართველობა და ნებაყოფლობა. ხოლო ის ფაქტი, რომ ხმის უფლება რეალიზდება წევრთა რაოდენობის და არა პაის (შენატანის) მოცულობით, კიდევ უფრო განატკიცებს დემოკრატიულობას და თანასწორობას. საბოლოოდ ეს წევრების მიხედვით პაის რაოდენობის გათანაბრებასაც იწვევს. კოოპერატივების შექმნის დროს ერთი საყურადღებო მომენტიც არის გასათვალისწინებელი, როგორც წესი, მასში შრომისმოყვარე, წარმატებული გლეხობა ერთიანდება, რაც განსაკუთრებით ადვილებს მათ ურთიერთობებს პარტნიორებთან და ამავე დროს აქვს სინერგიული ეფექტი, ანუ ეს გლეხები რა შედეგსაც მიადწევდნენ ცალ-ცალკე შრომის დროს, მათი ერთობლივი შრომის უკუგება გაცილებით მაღალი იქნება, თან ისე, რომ ამისთვის არ დაჭირდებათ დამატებითი მატერიალური რესურსების და შრომის გაღება. მაგალითად, კოოპერატიული შრომის შედეგად გლეხებს ერთი ჰექტრის დამუშავება 5-10%-ით უმცირდებათ.

გარდა იმ შეღავათებისა რითიც მთლიანად სოფლის მეურნეობის დარგი სარგებლობს და რის შესახებაც ზემოთაც გვქონდა საუბარი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებითი ხელშეწყობით სარგებლობენ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის 81 პუნქტის თანახმად მოგების გადასახადიდან თავისუფლდება “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის შენატანი (პაი);“ გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან დაკავშირებით, არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიურ

ბრუნვის მიხედვით, რომელიც შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს; ქონების გადასახადით კოოპერატივის ის ქონება არ იბეგრება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის გამოიყენება და აგრეთვე

ლიზინგითაა გაცემული.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა შემდეგი პროცედურების შესრულება და მოთხვნების დაკმაყოფილება: თავდაპირველად კოოპერატივი სამეწარმეო იურიდიულ პირად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (საჯარო რეესტრში) უნდა დარეგისტრირდეს. შემდეგ კი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2. განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი 3. იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივს საკუთრებაში/სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან სხვა ქონება - შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების/სარგებლობის უფლება; 4. კოოპერატივის წესდება. მაღალმთიან რეგიონებში („მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონის შესაბამისად) კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის. კოოპერატივის ქონება იქნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, გრანტით ან სხვა წყაროებით. კოოპერატივი დემოკრატიული მართვის პრინციპს ემყარება - ერთ მეპაიეს ერთი ხმის უფლება აქვს, იმის მიუხედავად, რა რაოდენობის ქონებით შევა გაერთიანებაში.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მათთვის მცირეგაბარიტიანი ტექნიკის გადაცემას გულისხმობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის, სადაც რელიეფის გამო სწორედ ასეთი საშუალებების გამოყენებაა ყველაზე მეტად მიზანშეწონილი. ცხადია, რომ ლენტეხის და ცაგერის მოსახლეობისთვისაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება ეს. პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის იტალიური წარმოების მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის - 1700 მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის გადაცემას თვითღირებულების მხოლოდ 23 პროცენტის გადახდის პირობით. მაგალითად, თუ კოოპერატივი 5 წევრისგან შედგება და გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ აღნიშნული მოტობლოკი დაახლოებით 3000 ლარი ღირს, ერთ მეპაიეს მოუწევს

$3000 \times 23\% / 5 = 138$ ლარის გადახდა. ამ მცირე ფასად მკვეთრად გაიზრდება კოოპერატივის თითოეული წევრის შრომის ნაყოფიერება, ხოლო ტექნიკის ერთობლივი ექსპლუატაცია და მოვლა ასევე აამაღლებს მის ეფექტიანობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოტობლოკები გადაეცემა კომპლექტში და მოიცავს მოტობლოკს, სათიბს, გუთანს, კულტივატორს და ხელის სათესს. გარდა ამისა, ერთ კომპლექტზე დამატებით ერთი ხელის სათესი გადაეცემა იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რომელთა ყველა მეპაიე არის დევნილი ან ეკომიგრანტი, საქმიანობის ადგილი არის მაღალმთიანი რეგიონი, საზღვრისპირა ზოლში, ან ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი. აგროტექნიკის მისაღებად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა განცხადებით უნდა მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს.

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის - ENPARD-ის ევკვიდებს მონაწილეობას საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წახალისების საქმეში. ENPARD-ის მნიშვნელოვანი წამოწყებაა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის ხელის შეწყობა. რაც ტრენინგების ჩატარების დაფინანსებაში გამოიხატება, რისი მეშვეობითაც მსურველები მიიღებენ ცოდნას ბიზნესის წარმოების, მენეჯმენტის, საგადასახადო საკითხების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას და მათ წარმატებულ ფუნქციონირებას.

კოოპერატივების განვითარების პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავს: შესაძლებლობების გაძლიერებას, სწავლებას და ინვესტირებას. ENPARD-ის ამ გრანტის გაცემის მთავარი პრინციპი დასაბუთებული ბიზნეს-გეგმის არსებობა იქნება და ამავე დროს აუცილებელია თანადაფინანსებაში მონაწილეობა, მთლიანი თანხის 20% გრანტის მიღებმა უნდა მოიძიოს. ყურადღება მიექცევა კოოპერატივის წინაისტორიას, თუ რა ეკონომიკური საქმიანობა აქვს მას განხორციელებული. ინვესტირება გულისხმობს ინფრასტრუქტურის შექმნაში ან ტექნიკური აღჭურვილობის შეძენაში დახმარებას. მაგალითად, ვთქვათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელიც ხუთი გლეხის მიერ არის შექმნილი, დასჭირდა მინიტრაქტორი, რომლის ღირებულება 10000 ლარია. ამ თანხის 20% თანადაფინანსების გამო თავად კოოპერატივმა უნდა მოიძიოს, რაც მის თითოეულ წევრზე 400 ლარს შეადგენს. შემდეგ კოოპერატივი ბიზნეს-გეგმით დასაბუთებს აღნიშნული ტრაქტორის საჭიროებას და მის ეფექტიანობას.

გამარჯვების შემთხვევაში კი საჩუქრად, ტრაქტორის შესყიდვის მიზნით, მიიღებს 8000 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში, როგორც აღვნიშნეთ, გათვალისწინებულია შესაძლებლობების განვითარება და სწავლება. ჩვენ მიერ განხილული მაგალითის შემთხვევაში შეისწავლიან ტრაქტორის მართვას, ექსპლუატაციას, მოვლას, გარდა ამისა გლეხებს შეასწავლიან ბიზნეს-გეგმის შედგენას, ბუღალტერიას, მარკეტინგის საორგანიზაციო საკითხებში გაარკვევენ. ამ შემთხვევაშიც გრანტის მიმღების თანამონაწილეობა მთლიანი თანხის 20%-ით იქნება განსაზღვრული.

ჩვენ ზემოთ რამდენიმეჯერ ვახსენეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ეს ორგანიზაცია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – 2013 წლის ბოლოს შეიქმნა და წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა, თუ გლეხები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბებას გადაწყვეტენ. რადგან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, კოოპერატივის ამ ორგანიზაციაში დარეგისტრირება აუცილებელია, რათა მას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭოს და შესაბამისი შეღავათებით ისარგებლოს. სააგენტო თბილისში მდებარეობს და აქვს ვებ გვერდი, სადაც ამომწურავი ინფორმაციაა მისი საქმიანობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე და დასაწყები პროგრამები

USAID-ის მიერ დაფინანსებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა NEO ოთხწლიანი პროგრამაა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, სიღარიბის დონის შემცირებას, შერჩეულ თემებში მცირემასშტაბიანი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და სხვა მიზნებს ისახავს. სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ეს პროგრამა ორიენტირებულია რეგიონებისათვის ტრადიციული წარმოების მხარდაჭერაზე, რაც საგრანტო ფორმით გამოიხატება. ჩვენთვის აღსანიშნავია, რომ NEO-ს პროექტის დაფარვის რეგიონი რაჭა-ლეჩხუმშიც არის, სადაც კარტოფილის ადგილობრივი მეთესლეობის ბაზები ეწყობა, რაც ძალიან წაადგება ამ რეგიონს, რადგან აქ კარტოფილი ტრადიციული კულტურაა, ხოლო წარმოების მაჩვენებლები, მათ შორის მოსავლიანობა, ძალიან დაბალია. კარტოფილის თესლი არამარტო რაჭა-ლეჩხუმში, არამედ საქართველოშიც კი არსად იწარმოება, არადა ამ მხრივ, ჩვენი

ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში და მათ შორის რაჭა-ლეჩხუმში იდეალური პირობებია. ეს განსაკუთრებით დაეხმარება ლენტეხის რაიონის ფერმერებს, ვინაიდან კარტოფილი აქ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. პროექტის მეორე კომპონენტი ვაზის სანერგეს ეხება, რაც ლეჩხუმის რაიონის სოფელ ტვიში მოეწყო. აქ უკვე ოთხი ისეთი ჯიშის ნამყენი ნერგები იწარმოება, როგორცაა „მუჯურეთული“, „უსახელაური“, „ცოლიკაური“ და „ალექსანდროული“. რაჭა-ლეჩხუმში მოეწყო კენკროვნების სანერგეც, სადაც უკვლო მაყვლის, ჟოლოს და მარწყვის თანამედროვე ჯიშების ნერგები გამოჰყავთ. NEO-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მეფუტკრეობის მხარდაჭერა, რასაც ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მათ შორის რაჭა-ლეჩხუმშიც ახორციელებს მეფუტკრეობის საწარმოო ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობისთვის. ამ პროექტის დახმარებით ყველა რეგიონში შეიქმნა მეფუტკრეთა ოთხი ასოციაცია და შეირჩა ოთხი მეფუტკრე, რომელთაც გრანტის სახით 500 თანამედროვე სკა გადაეცათ.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ახალი პროგრამა დაიწყო ევროკავშირმა. ევროპის სამეზობლო პროგრამით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD-ის ფარგლებში) დაფინანსებას მიიღებს ის, ვისაც სოფლად აგრომეურნეობის ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობა სურს. მსგავსი წამოწყება მეტად მნიშვნელოვანია ლენტეხისა და ცაგერის მოსახლეობის სოციალური დონის გაუმჯობესებისათვის. ამ პროგრამაში შესაძლებელია ქალებიც აქტიურად ჩაერთონ და ხელი შეუწყონ მშობლიური რაიონების ეკონომიკურ წინსვლას. როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობის სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშე ხუან ხოსე ეჩანოვე აცხადებს, ENPARD-ი არ არის ახალი პროგრამა და მის ფარგლებში 40 მლნ ევრო უკვე დაიხარჯა, ახლა კი, დამატებით გამოყოფილია 12 მილიონი ევრო, რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით დაიხარჯება, ეს მიმართულებებია: სოფლის განვითარების ხელშეწყობა - 3 მლნ ევრო, კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა - 2,5 მლნ ევრო და საბიუჯეტო დახმარება - 6 მლნ ევრო. ჩვენთვის, და ვფიქრობთ ლენტეხისა და ცაგერის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლისა და კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა. თუმცა ნაწილობრივ, საბიუჯეტო დახმარებაც შეიძლება აისახოს სოფლის მეურნეობაზე და არამარტო ფინანსური თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ევროკავშირის მიერ ამ პროგრამის დაწყების წინაპირობად დადგენილია ფერმერთა საკონსულტაციო სამსახურის სისტემის შექმნა.

ძალიან საინტერესო მიზნებია სოფლის განვითარების პროგრამაში,

რადგან ის გარკვეულად, ნოვატორულ იდეებს შეიცავს. თავდაპირველად განხორციელდება საპილოტე პროგრამა, რომელიც სამ რაიონს მოიცავს, ხოლო შემდეგ დაიწყება ENPARD-2, რომელიც გაცილებით მასშტაბური იქნება და მთელ საქართველოს ითვალისწინებს. ამ პროგრამის ის მიმართულებები იქნება საინტერესო, რაც მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობის გარდა, ალტერნატიული დასაქმების საშუალებას იგულისხმებს. ამ პროგრამით შეიძლება დაფინანსდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთების სერვისი, აგროტურიზმი და ა.შ. დაფინანსება შეიძლება მიიღოს როგორც მოსახლეობამ, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც შესაბამის წინადადებებს წარმოადგენენ. ამ გრანტების გაცემის მთავარი მოტივი იქნება დასაბუთებული ბიზნეს-გეგმის არსებობა და თანადაფინანსებაში მონაწილეობა. ეს უკანასკნელი პირობა იმიტომ არის აუცილებელი, რომ გრანტი მიიღონ ინიციატივანმა, გამრჯე სუბიექტებმა, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს პროგრამა სავარაუდოდ დაიწყება 2015 წლის იანვარში და 2 წელი გაგრძელდება.

პროექტს სახელწოდებით „აწარმოე საქართველოში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ერთობლივად 1 ივნისიდან ახორციელებენ. მისი უმნიშვნელოვანესი მიზანი ახალი საწარმოების შექმნის მეშვეობით სოფლის მეურნეობის განვითარებაა. ამ პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მასში დაუშვებელია სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ერთეულის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მონაწილეობა.

პროგრამა სამ კომპონენტს მოიცავს: 1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; 2. ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა; 3. საკონსულტაციო მომსახურება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, მეწარმეებს ერთდროულად სამივე კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ. პროგრამის ბიუჯეტი 46 მლნ. ლარია. აქედან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე დაიხარჯება 30 მლნ. ლარი. პროექტი გულისხმობს მხოლოდ ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობას. მის ფარგლებში გამოყოფილია რამდენიმე პრიორიტეტული დარგი, რომლებიც შეღავათიანი პირობებით, დაფინანსებით და სხვა უპირატესობებით ისარგებლებენ. ლენტეხისა და ცაგერის რაიონის ბიზნეს-სექტორისთვის ამ პროგრამის ორივე - როგორც აგრარული, ასევე ინდუსტრიული მიმართულება მეტად საინტერესოა. ამ უკანასკნელის ფარგლებში დაფინანსდება ქაღალდის, მუყაოს, სამშენებლო მასალების,

მათ შორის, ბუნებრივი ქვეების, საფეიქრო წარმოება, ხის გადამამუშავება. ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, რაც მოცემულ ორ მუნიციპალიტეტში მოიპოვება, ინდუსტრიული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე ისეთი საწარმო, რომლებიც არსებითად გააუმჯობესებენ ამ რაიონებში სოციალურ-ეკონომიკურ დონეს და მნიშვნელოვნად გადაწყვეტენ ქალთა დასაქმების პრობლემასაც. ლენტეხისა და ცაგერისთვის აგრარული პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესო იქნება მესაქონლების ფერმებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება.

ამ პროგრამის მთავარი კომპონენტია კრედიტის თანადაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს გადასახდელი საპროცენტო განაკვეთის უდიდეს ნაწილს. მაგალითად, თუ დაფინანსებული საწარმო ახალია და ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და კრედიტის თანხის არანაკლებ 80% გამოიყენებს ძირითადი საშუალებების შესაძენად, 150000-დან (სოფლის მეურნეობის პროგრამისთვის 600000 აშშ დოლარიდან) 2000000-მდე აშშ დოლარის კრედიტის აღების შემთხვევაში, მას სახელმწიფო დაუფარავს მთლიანად გადასახდელი საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ს, ხოლო თავად საწარმოს გადასახდელი დარჩება მხოლოდ 1-3%. საშეღავათო პერიოდია 24 თვე - ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხზე და 18 თვე - საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხზე. გარდა ამისა სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს სესხზე მოთხოვნილი გირაოს თანადაფინანსებას (არაუმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა) 30%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან პირველი 2-4 წლის განმავლობაში.

ლენტეხისა და ცაგერის რაიონების ბუნებრივ-კლიმატური პოტენციალი

ლენტეხის რაიონი, რომელიც ქვემო სვანეთს მოიცავს, მდინარე ცხენისწყლის ზემო დინების აუზში მდებარეობს. მისი ტერიტორია შეადგენს 1344,4 კმ², აქედან თითქმის მესამედი ანუ 440 კმ² პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსები მცირეა და შეადგენს 22 536 ჰა-ს, (მთლიანი ტერიტორიის 17 %). აქედან სახნავ-სათესს მხოლოდ 1 560 ჰა (7 %) უკავია, 1 308 ჰა დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით, ხოლო მიწების დიდი ნაწილი, 20 838 ჰა (დაახლოებით 92%) სათიბ-საძოვარია. ლენტეხის რაიონში შედის 1 დაბა და 50-ზე მეტი სოფელი, 22

ხოლო მოსახლეობის რაოდენობა კი 2012 წლის მონაცემებით, მხოლოდ 8,6 ათასია, სიმჭიდროვე - 6,4 კაცია 1 კმ².

მესტიის რაიონისგან ლენტეხს საზღვრავს სვანეთის ქედი, სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით, შესაბამისად, ლეჩხუმისა და სამეგრელოს ქედები, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი იგი ვაკვასიონის მთავარ ქედს ესაღვრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლენტეხის რაიონში გადის რუსეთის ფედერაციასთან (ყაზარდო-ბალყარეთი) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი. მიუხედავად იმისა, რომ ლენტეხი საკმაოდ დიდი რაიონია ფართობის მიხედვით, აქ სახნავი მიწა ერთობ მცირეა და მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 1-2%-ია. ამიტომ ქვემო სვანეთის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით აქტუალურია იმ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რომელიც აქ არის წარმოდგენილი და სადაც უმნიშვნელოვანესია ტყის ფონდი და ბუნებრივი საძოვრები. ის ფაქტი, რომ ლენტეხი და ცაგერი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტყიანი რაიონებია, სადაც ტყის ფართობი მთლიანად 50%-ზე მეტს შეადგენს, თვალაჩინოდ მეტყველებს ამ მხრივ არსებულ მნიშვნელოვან რესურსებზე.

ლენტეხის ჰავა ზომიერად ცივია და მკვეთრი ვერტიკალური ზონალობით გამოირჩევა. გარდა ამისა ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ფართობის ექსპოზიცია. დაბალნაწილში შედარებით ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია, ხოლო ზაფხული - ხანგრძლივი და გრილი. იქამდე სადაც მოსახლეობის განსახლების არეალი წყდება (დაახლოებით 2000 მეტრი ზღვის დონიდან), წლის საშუალო ტემპერატურა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით 3,20-9,40C ფარგლებში მერყეობს. ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის ტემპერატურა -6,90_ -1,90 C ფარგლებშია, ხოლო ყველაზე თბილი თვეა აგვისტო - 130-20,10 C ტემპერატურის მერყეობით. ტენიანობა წელიწადში სხვადასხვა მონაცემების მიხედვით 1100 მმ-დან 1300 მმ-მდე ფარგლებში მერყეობს. ლენტეხის რაიონის მთავარი მდინარეა ცხენისწყალი, რომელსაც მრავალი შენაკადი აქვს.

მიუხედავად სვანეთის დასახელებაში მითითებული სიტყვებისა „ზემო“ და „ქვემო“ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ზემო სვანეთი მდინარე ენგურის ხეობიდან გამოდის ჯვართან, სამეგრელოს ვაკეზე და მისი ყველაზე დაბალი წერტილი აქ ზღვის დონიდან 600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო ქვემო სვანეთის უდაბლესი წერტილიც დაახლოებით ამ დონეზეა.

ცაგერის მუნიციპალიტეტი ლენტეხის რაიონის სამხრეთით მდებარეობს და საზღვრის ყველაზე გრძელი ზოლი სწორედ მასთან აკავშირებს. მისი ფართობია 755,4 კმ² მოსახლეობა 2012 წლის

მდგომარეობით 16,5 ათასი კაცია. აქ 58 სოფელი და 1 ქალაქია. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 22 კაცი/კმ²-ზე. რამდენიმე ათწლეულის წინათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად მაქსიმუმ 1,7 ათასი კმ² იყო გამოყენებული, უკანასკნელი მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი 14 863 ჰა-ს შეადგენს, აქედან 19%-მდე უკავია სახნავ-სათესს და შეადგენს 2 800 ჰა-ს. სავარგულების 7% – 1093 ჰა დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით, ხოლო მიწების დიდი ნაწილი, 10 970 ჰა (დაახლოებით 74%) სათიბ-სამოვარია.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთავორიანია და სიმაღლის მიხედვით კლიმატური პირობები მკვეთრად ცვალებადია. ლეჩხუმის ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს კლიმატი უფრო მკაცრია სვანეთთან სიახლოვის გამო, ხოლო სამხრეთი ნაწილის ჰავა შედარებით რბილია. დაბალმთიან ნაწილში (470-500 მ) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 11°C, წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, ტემპერატურა 0°C-ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოსი 22°C. წელიწადში საშუალოდ 1235 მმ ნალექი მოდის, აქედან ნალექების მაქსიმალური რაოდენობა შემოდგომაზე ფიქსირდება, მინიმალური კი - ზაფხულში. მუნიციპალიტეტის მთიან ნაწილში ჰაერის ტემპერატურა შესაბამისად ეცემა, ნალექების რაოდენობა კი იზრდება სიმაღლესთან ერთად და ყველაზე მაღალ ადგილებში 2000 მმ-ს აღწევს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: რიონი, ცხენისწყალი და ლაჯანური, რომლებიც ქმნიან ვიწრო ხეობებს, ძლიერ დაქანებული კალთებით.

ამ ორი რაიონის მცენარეული საფარი, ძირითადად ვერტიკალური ზონალობის გამო, განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომაც სწორედ ამ ნიშნით აღვწერთ. მთისწინეთისა და ქვედა მთის ტყის სარტყელი ვრცელდება რაჭა-ლეჩხუმის ქვაბულის ქვედა ნაწილში, ზ.დ. 600-900 მ სიმაღლემდე. არსად სხვაგან დასავლეთ კავკასიონზე აღნიშნული სარტყელი ასეთ სიმაღლეზე არ ადის. აქ ძირითადი ტყეშემქმნელი ჯიშებია: მუხის სხვადასხვა სახეობა, კავკასიური რცხილა, ხშირია ჩვეულებრივი წაბლი, გვხვდება აღმოსავლური წიფელი, კავკასიური ფიჭვი, ჩვეულებრივი ნეკერჩხალი, ივანი, კავკასიური ცაცხვი, თელა, ჩვეულებრივი მურყანი. ქვეტყეში გვხვდება კოლხური თხილი, კუნელი, ბზა, ურთხელი, ზღმარტლი, იელი, ტყემალი, კოლხური ჯონჯოლი, დიდგულა, ჩვეულებრივი კოწახური; ბევრია ტყის ხილი: პანტა, შინდი, თამელი, მაჟალო, ძახველი, მაღალი მოცვი და სხვა. 1000-1200 მეტრამდე გავრცელებულია ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც ხარობს წიფელი, წაბლი, მუხა, ცაცხვი, რცხილა. 1500-1600 მეტრამდე ზონა უკავია წიფლის ბუნებრივ ზონას. ალაგ-ალაგ წიფელთან ერთად აქ გვხვდება სოჭ-

ნამკნარებიც და დიდი დაქანების ფერდობებზე ფიჭვნარებიც. 2100-2200 მეტრამდე სოჭისა და ნამკნის ტყეების ბუნებრივი ზონაა. აღნიშნული ხეების გარდა აქ ძლიერ დამრეც ფერდობებზე ფიჭვის კორომებიცაა. ტყის დიდი ნაწილი ამ ზონებში წმინდა კორომების სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ურევია - რცხილა, ცაცხვი, ლეკის ხე, ბოყვი, პანტა, თელამუში, არყი, მთრთოლავი ვერხვი. ქვეტყეში გვხვდება წყავი, შქერი, ჭყორი, კავკასიური მოცვი, დიდგულა, ცხრატყავა, ძახველი და სხვა. 2200-3300 მეტრის სიმაღლეზე გავრცელებულია სუბალპური და ალპური ზონა. ამ ზონებში ძირითადად ბალახოვანი მცენარეები და მეჩხერი ტანბრეცილი ტყე გვხვდება, უფრო ზევით კი ალპური ზონაა, სადაც ძირითადად ალპური მდელოებია გავრცელებული. მაღალი მთის სუბალპური და ალპური მდელოები 2200-3300 მეტრის ზემოთ ვრცელდება. მათ ფერდობების ზედა ნაწილი და თხემური ზოლი უკავია. აღნიშნულ სარტყელში გვხვდება სუბალპური ტყეები, დეკიანები, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოები და ალპური მდელოები.

ლენტეხისა და ცაგერის რაიონის ფაუნაც საკმაოდ მრავალფეროვანია. ცხოველებიდან აქ გვხვდება - მურა დათვი, მგელი, ტყის კატა, შველი, ზღარბი, თხუნელა, არჩვი, კვერნა, მაჩვი, მელა, კურდღელი, დედოფალა, ციყვი და ა.შ. ლენტეხის ალპურ ზონაში ბინადრობს ჯიხვი. ფრინველებიდან გვხვდება შვეარდენი, ქორი, მიმინო, არწივი, ბუ, ყვავი, ყორანი, ძერა, როჭო, შურთხი, კოდალა, ტყის ქათამი, შაშვი, ტოროლა, და სხვა. აღნიშნულ ზონაში, განსაკუთრებით კი ცაგერის რაიონის დაბლობში გავრცელებულია ქვეწარმავლები. მდინარეებში მრავლად არის თევზი. მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით ჭარბობს კალმახი.

ლენტეხისა და ცაგერის რაიონებისთვის ტყის ეკონომიკური დანიშნულება

ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში ერთობლივად ტყე 1320 კმ²-ს იკავებს რაც მთლიანი ფართობის დაახლოებით 63%-ია. აქ არის სამრეწველო დანიშნულების, სუბალპური და ჭალისპირა ტყეები. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. სამრეწველო ტყეებში წარმოდგენილი ხის ჯიშების უმრავლესობა კი ძვირფას მერქნიანი მცენარეა, მაგრამ გარდა მერქნისა, რაც დიდი წინდახედულობით უნდა იქნას გამოყენებული, აღსანიშნავია ხის ის სახეობები, რომლებიც ნაყოფიერია. ჩვენ სწორედ ტყის იმ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციაზე შევჩერდებით ამჟამად, რაც არ არის დაკავშირებული ხის ჭრასა და დამუშავებასთან, რადგან ეს საკითხები ძირითადად ცენტრალური

ხელისუფლების დაქვემდებარებაშია და მკაცრად რეგულირდება, თუმცა აღვნიშნავთ, რომ მერქნის მოპოვება დღესაც დიდად მნიშვნელოვანია აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით. მაგალითად, ლენტეხის რაიონში ტყის ჭრის წლიური ლიმიტი 8000 მ³-ია წელიწადში. ტყეკაფი დანიშნულია სამრეწველო კატეგორიის ტყეში. აღნიშნული მოცულობიდან 2720 მ³ კომერციული და 5780 მ³ სოციალური მიზნებისათვისაა განკუთვნილი. სოციალური ტყეკაფის შეთანხმება ხდება სატყეოსა და ადგილობრივ მმართველობებს შორის.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების პირობებში მათ დიდი ეკონომიკური დანიშნულება ექნებათ, რადგან ქართული და მით უმეტეს ცაგერის, და ლენტეხის ტყის პროდუქტები ცალსახად დააკმაყოფილებს ბიოწარმოების ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს. აქვე აღვნიშნავთ ისიც, რომ ტყის პროდუქტების შეგროვება და პირველადი გადამუშავება არ არის ფიზიკურად მძიმე საქმე და ძალიან დიდ როლს შეასრულებს განსახილველი რეგიონის ქალთა დასაქმებაში. სანიმუშოდ ჩვენ განვიხილავთ იმ მცენარეების რამდენიმე სახეობას, რომელთა ეკონომიკური ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება ახლო მომავლში და რომლებიც ველური სახით გვხვდება ლენტეხისა და ცაგერის რაიონების ტყეებში.

წაბლი. პირველ ყოვლისა შევჩერდებით წაბლზე, რადგან მას არ სჭირდება მნიშვნელოვანი გადამუშავება და ნატურალური სახით შეიძლება მოხვდეს ევროპის ბაზარზე საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში. წაბლის ნაყოფში 62% სახამებელია, 16,7% შაქრები, 6% ცილა და 2,3% ცხიმი. მასში შედის K, Na, Ca, Mg, Fe, მიკროელემენტების დიდი რაოდენობა, აგრეთვე 14 ამინომჟავა. წაბლის შემადგენლობა უახლოვდება ხორბლის შემადგენლობას. მოუმწიფებელ ნაყოფში ბევრია ვიტამინი C და B არის ვაშლის და ლიმონის მჟავა. მოხარშული წაბლით მკურნალობენ იმ ავადმყოფებს, რომლებსაც შესუსტებული აქვთ მონელებითი უნარი. წაბლს ევროპაში ფართო გამოყენება აქვს. კულინარიული თვალსაზრისით მას ხარშავენ, ბრაწავენ ან უმად მიირთმევენ; ფართოდ იყენებენ საკონდიტრო დანიშნულებითაც. ზოგჯერ მის მშრალ ნაყოფს ფქვავენ და ხორბლის ფქვილს ურევენ. როგორც აღვნიშნეთ ის მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით, ამიტომ სამკურნალოდაც იყენებენ. წაბლის გამორჩეულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ სხვა კაკლოვანებისგან განსხვავებით მის ნაყოფში ძალიან მცირე რაოდენობის ცხიმია. სხვათაშორის ნაყოფის გარდა, წაბლის ხის თითქმის ყველა ნაწილი - ყვავილი, ფოთოლი, ქერქი, ტოტები, მერქანი - მდიდარია სასარგებლო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. სამკურნალოდ გამოიყენება

წაბლის როგორც ნახარში, ისე სპირტიანი ნაყენი.

ზრდასრული წაბლის ხე 35 მეტრამდე სიმაღლისაა, ხოლო ვარჯის დიამეტრი 1,5 მეტრს აღწევს. გარდა იმისა, რომ წაბლის მერქანი საუკეთესოდ ითვლება, ერთი ხე იძლევა საშუალოდ 70 კილოგრამამდე ნაყოფს. მისი გავრცელების არეალი საქართველოში ძირითადად ზღვის დონიდან 700-1200 მეტრ სიმაღლეზეა. წაბლი ყვავის ივნის-ივლისში, ხოლო ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. წაბლის შეგროვება ადვილია, რადგან დამწიფების შემდეგ ის ცვივა ხიდან და ვინაიდან აქვს საკმაოდ მკვრივი ქერქი, ცვენისას არ ზიანდება. აღსანიშნავია ისიც რომ წაბლი კარგი თაფლოვანი მცენარეა. მისი ყვავილებისგან დამზადებული თაფლი სულ უფრო დიდი მოწონებით სარგებლობს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით თურქეთში.

ერთი კილოგრამი წაბლის საბითუმო საერთაშორისო ფასი 3 აშშ დოლარზე მეტია, ხოლო საცალო დაახლოებით 10 დოლარია. ჩვენთვის რთულია მთლიანად შევავსოთ განსახილველ არეალში წაბლის საერთო მოსავალი და მისი მთლიანი ღირებულება, მაგრამ თუ ევროკავშირში არსებული საბითუმო ფასით ვიანგარიშებთ, ერთი წაბლის ხე საშუალოდ 200 დოლარს იძლევა წელიწადში. ანალოგიური მსჯელობა შეიძლება იმ მრავალი მცენარის შესახებ, რომლებიც ლენტეხისა და ცაგერის ტყეებში იზრდება, ოღონდ წაბლისგან განსხვავებით, მათ გადამუშავების და შენახვის გაცილებით მეტი ძალისხმევა ჭირდება.

ჯონჯოლი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტყეებში კარგად ხარობს კოლხური ჯონჯოლი. იგი ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა და 2-6 მეტრამდე სიმაღლისაა. მისი გავრცელების არეალი ზღვის დონიდან 700-800 მეტრამდეა, იზრდება ტყის პირებზე, წაბლნარებსა და მუხნარებში ქვეტყედ. ყვავილობს მაისში, მსხმოიარობს ივლისში. კოლხური ჯონჯოლის გაუშლელ ყვავილებს ამწნილებენ. მისი მწნილი საუკეთესო გემური თვისებისაა, ხოლო ინგრედიენტის ნატურალური წარმოშობა იმას მიუთითებს, რომ ის ბიოპროდუქტების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. დარმწუნებული ვარ, რომ თუ გადაწყდება სათანადოდ დაფასების და სერტიფიცირების საკითხი, ეს პროდუქტი დიდ წარმატებას არამარტო ქართულ ბაზარზე მოიპოვებს. ჯონჯოლის მწნილი შემდეგი ნივთიერებებისგან შედგება: მშრალი ნივთიერება გახსნილი სახით - 11,4%; გაუხსნელი სახით - 14,55%; შაქრები სულ - 1,13%; ცილები - 1,44%; მჟავები - 0,75-1,12%; ვიტამინი C-8,8 მგ% ; საჭმელი მარილი - 4,05%; გახსნილი მშრალი ნივთიერება მშრალი მარილის გემოვნებით - 7,35%. დუდილის პროცესში მცირდება ცილების რაოდენობა, სამაგიეროდ კი იზრდება რძემჟავის შემადგენლობა, რაც აგემრიელებს

მწილის. ჯონჯოლის მწილის შენახვის საუკეთესო ტემპერატურაა 2-4° C. რამდენადაც ცნობილია, ჯონჯოლის ყვავილისგან მხოლოდ კავკასიის მოსახლეობა ამზადებს მწილს, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში მას როგორც დეკორატიულ მცენარეს ისე იყენებენ. ის რომ მწილის დამზადების ტექნოლოგიის მხრივ ფაქტობრივად მონოპოლიას ვფლობთ, სასწრაფოდ უნდა იქნას გამოყენებული და ამ პროდუქტით სულაც არ არის გამორიცხული ევროპის ბაზარზე შესვლა, მაგრამ სანამ ეს მოხდება ცაგერის მოსახლეობამ და განსაკუთრებით ქალებმა აღნიშნული დელიკატესით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიუმჯობესონ სოციალური მდგომარეობა. ჯონჯოლის კრეფა და მისი დამწნილება ხომ როგორც ჩვენში იტყვიან, ქალის საქმეა. სასურველია რომ ქართველი ტექნოლოგები აქტიურად ჩაერთონ ჯონჯოლის მწილის დამზადების სამრეწველო რელსებზე გადაყვანის საქმეში, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი ცდა უკვე იყო, რომლის შედეგიც ახლად შექმნილმა კოოპერატივებმა საწყის ეტაპზე შეიძლება გამოიყენებინონ. 1962-1963 წლებში, ექსპერიმენტული სამუშაოს შესრულების საფუძველზე, ქართველმა მეცნიერებმა ა. ჭიიშვილმა და გ. ქათამაძემ შეიმუშავეს ჯონჯოლის ქარხნული წესით გადამუშავების ინსტრუქცია. ჯონჯოლის მწილის ბაზარზე გასატანად ცაგერის რაიონშივე უნდა მოხდეს მისი სათანადო დაფასოება და ხარისხის გარკვეული კონტროლი. ამ საქმეში კი ცაგერელებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ ის შესაძლებლობა რასაც მათ კოოპერაცია სთავაზობს და რის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. გარდა ამისა ჯონჯოლის მცენარეს მოვლა და დაცვაც სჭირდება. მოსახლეობა ზოგჯერ უდიერად კრეფს ყვავილის მოსავალს, ამტვრევს ტოტებს და ხეზე აღარ ტოვებს ნაყოფის განვითარებისთვის საჭირო ყვავილს, რაც ამ მცენარის გადამწენებას იწვევს. შემთხვევითი არ არის, რომ ჯონჯოლი 1982 წლიდან წითელ წიგნშია შეტანილი.

სასიამოვნო გემოსთან ერთად მას სხვა უნიკალური თვისებებიც გააჩნია. მაგალითად, ჩინური ტრადიციული მედიცინა ჯონჯოლის ერთ-ერთი სახეობის ფოთლების ნახარშს ხველის საწინააღმდეგო საშუალებად იყენებს. ჯონჯოლი ბევრ აქტიურ ნივთიერებას და მათ შორის სხვადასხვა სახის ვიტამინს ან მათი სინთეზისთვის საჭირო ნივთიერებებს შეიცავს. არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი სპეციალისტების კვლევითაც დასტურდება, რომ ეს მცენარე შეიცავს ბუნებრივ ინსულინს. ჯონჯოლის ერთი ზრდასრული 20-30 წლის ბუჩქი იძლევა 5-10 კილოგრამ ყვავილს, რაც ამავე რაოდენობის მწილის დამზადების შესაძლებლობას იძლევა. დღეს ჯონჯოლის მწილის ფასი 4-5 ლარია, ანუ საშუალოდ რომ ავიღოთ, ერთი ბუჩქი იძლევა ნედლეულს 30 ლარის პროდუქციისთვის.

გარდა წაბლისა და ჯონჯოლისა ლენტეხისა და ცაგერის ტყეებში

მრავლად არის ის მცენარეები, რომლებიც ნაყოფს იძლევა და მათი გადამუშავება საკმაოდ სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს როგორც, ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისთვის, განსაკუთრებით ქალთა დასაქმების კუთხით. ეს მცენარეებია: შინდი, თხილი, მოცხარი, მაჟალო, პანტა, ტყემალი, მაყვალი, ჟოლო, ტყის მარწყვი, მოცვი. თუ მოხერხდება გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, რაშიც ადგილობრივად შექმნილმა კოოპერატივებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, მრავალი ამ მცენარის ნაყოფი სრულიად შესაძლებელია, რომ ევროპის ბაზარზე მოხვდეს და დიდი მატერიალური ეფექტი მისცეს განსახილველი რეგიონის მოსახლეობას.

სამკურნალო მცენარეები. ცაგერისა და ლენტეხის რაიონები საოცრად მდიდარია სამკურნალო მცენარეებით და დიდი შეცდომა იქნება ბუნების ეს საჩუქარი არ ჩაერთოს სრულფასოვან ეკონომიკურ ბრუნვაში. ძველი კოლხეთის დიდება, ლეგენდის თანახმად, ხომ მედიცინასაც უკავშირდება. თვით ეს საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი კოლხი მედეასგან მოდის და სხვათაშორის ამასაც შეიძლება მარკეტინგული დატვირთვა მიეცეს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სვანეთში, ისე ლეჩხუმში კარგად არის შემორჩენილი ხალხური მედიცინა და პრაქტიკაშიც გამოიყენება, და ის ადგილობრივ ბიორესურსებს ეფუძნება, სამკურნალო მცენარეების შეგროვებას გაცილებით დიდი პერსპექტივები აქვს, თუ გავითვალისწინებთ განვითარებულ ქვეყნებსა და განსაკუთრებით ევროპაში მიმდინარე ტენდენციებს. ამ რაიონებში ათეულობით ძვირფასი სამკურნალო მცენარე ხარობს და მათ უმეტესობაზე შესაძლებელია ცალკეული მარკეტინგული გეგმის შედგენა. ქვემოთ მოტანილია არასრული ჩამონათვალი ამ სამკურნალო მცენარეებისა, რომელთაგან ბევრი ევროპაშიც არის ცნობილი და უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის კულტივირებასაც ეწევიან; მაგრამ ცხადია, ტყეში და მდელოებზე მზარდ მცენარეს გაცილებით მაღალი ფასი აქვს. ეს მცენარეებია ასკილი, დიდგულა, აწლი, ვირისტერფა, კოწახური, კუნელი, მთის პიტნა, მჟაველა, მრავალძარღვა, ონტოკოფა, უცუნა ლამაზი, ფარსმანდუკი, ფითრი, ქრისტესისხლა, შვიტა მინდვრის, წყავი, ცირცელი, შხარმა, მახველი, ჭყორი, ძმერხლი, ხეჭრელი, ჭინჭარი, ხებალახა, ასისთავა და სხვა. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ ის მცენარეები, რომელთა ნაყოფს ორმაგი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს, როგორც სამედიცინო ასევე სასურსათო და მეორედ ამ სიაში იმიტომ არ მოხვდა ეს დასახელებები. მართალია ბიოპრეპარატების შექმნა და ევროპაში რეალიზება ძალიან რთული საქმეა, მაგრამ ჩამოთვლილი მცენარეებისგან შეიძლება დამზადდეს ე.წ. საკვები დანამატები, რისი ბუმიცაა დღეს განვითარებულ ქვეყნებში.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებები ლენტეხსა და ცაგერში

ბიომეურნეობა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებებს. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დანაწევრება, რაც მინიმუმამდე ამცირებს მსხვილმასშტაბიანი ინდუსტრიული მეურნეობების დაარსების შესაძლებლობას. ეს კი, არახელსაყრელ ვითარებაში აყენებს საქართველოს აგრარულ სექტორს, რადგან მის მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი, ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, მაღალი თვითღირებულებისა იქნება და წამგებიან კონკურენტულ მდგომარეობაში აღმოჩნდება არათუ საზღვარგარეთულ ბაზრებზე, არამედ საქართველოშიც შეიძლება წაგოს საფასო კონკურენცია იმპორტირებულ პროდუქციასთან. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ჩვენს მთიან რეგიონებში და მათ შორის გამონაკლისი არც ლენტეხისა და ცაგერის რაიონებია. ამიტომ, იმისთვის, რომ საქართველოს და კონკრეტულად ამ მუნიციპალიტეტების ეკონომიკის უმთავრესი საყრდენი სოფლის მეურნეობა კონკურენტუნარიანი იყოს, საჭიროა, ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გაანეიტრალებს მაღალი თვითღირებულების ფაქტორს და სხვა კონკურენტულ კატეგორიაში გადაიყვანს ჩვენი ქვეყნის აგროპროდუქციას. ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიომეურნეობის რელსებზე გადასვლა. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეტყველებს მრავალი ფაქტორი, რის შესახებაც საუბარი შორს წაგვიყვანს და ამიტომ მხოლოდ სამს გამოვყოფთ: პირველი - ევროპაში, რომელთანაც მალე სრულიად შეუფერხებელი სავაჭრო ურთიერთობები გვექნება, სწრაფი ტემპებით იზრდება მოთხოვნილება ჯანსაღ სურსათზე; მეორე - აღნიშნული ხარისხის პროდუქციაზე ფასები რამდენიმეჯერ მეტია მათ მასობრივ ანალოგებთან შედარებით; და მესამე საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ეკონომიკური პრობლემების გამო, დიდი ხანია არ მოიხმარება ქიმიური საშუალებები, მთიანი რელიეფის გამო რთული ან შეუძლებელია მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაც, ანუ ის ნაკლი რაც ინდუსტრიული სოფლის მეურნეობისთვის თითქმის გადაუღალავი პრობლემაა, ბიომეურნეობის წამოწყების უპირატესობად იქცევა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოში მრავალფეროვანი და ჯანსაღი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია, რაც სინერგიულ ეფექტს მოგვცემს ბიომეურნეობის წარმართვის პირობებში.

საქართველოს მთავრობამ 2013 წელს დაამტკიცა და 2014 წლის

პირველი იანვრიდან ამოქმედდა დადგენილება ბიოწარმოების წესების შესახებ. ამ წესების დაცვა აუცილებელია თუმეწარმე ორგანული წარმოების გზას აირჩევს. ზოგადად რომ ვთქვათ, ბიომეურნეობით დაკავებული ფერმა არ უნდა იყენებდეს პესტიციდებს, სხვა ქიმიურ საშუალებებს და სასუქებს; კატეგორიულად ეკრძალება აგრეთვე გენეტიკური ინჟინერიით მიღებული ორგანიზმებისა და საშუალებების გამოყენება. მემცენარეობისათვის სპეციფიკურ წესებს შორის მითითებულია, რომ ბიოწარმოებისთვის ნიადაგში შეტანილი ნაკელის რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს წელიწადში 170 კგ აზოტს ჰექტარზე. სათესლე და ვეგეტატიური გამრავლების მასალის წარმოებისთვის დაშვებულია მხოლოდ ბიომეთოდებით მიღებული სათესლე და ვეგეტაციური გამრავლების მასალის გამოყენება. შეზღუდულია მძიმე ტექნიკით ნიადაგის დამუშავებაც, რაც ერთი მხრივ აზიანებს მის სტრუქტურას და მეორე მხრივ საწვავის და სხვა ნარჩენების გამო მნიშვნელოვნად აზინძურებს მას. მეცხოველეობისთვის ბიოწარმოების მიზნით, საჭიროა რომ ცხოველი იკვებებოდეს ბიოსაკვებით, რომლის 50% მოცემულ ბიომეურნეობაში ან იმავე რეგიონში არსებულ სხვა ბიომეურნეობაში დამზადდება; დასაშვებია საკვების 30% იყოს კონვერსიული (კონვერსიული - მეურნეობაა, რომელიც ბიომეურნეობის სტატუსის მისაღებად სერთიფიცირების პროცედურებს გადის) მეურნეობიდან; ახალშობილი ძუძუმწოვრები უმჯობესია იკვებებოდნენ დედის რძით; დაუშვებელია ცხოველთა დიეტა, რამაც შეიძლება ანემია გამოიწვიოს. ცხოველი ინარჩუნებს ბიოლოგიურის სტატუსს, თუ მის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საკვების მშრალი მასის 80% „ორგანულია“. ტრანსპორტირებისას უნდა შემცირდეს ცხოველების სტრესი და ტრავმის ალბათობა. აკრძალულია ელექტროსტიმულაციის გამოყენება ცხოველების სამომრავო ტრანსპორტირების იძულებითი შეზღუდვის მიზნით. დაუშვებელია ქიმიური ტრანსკვილიზატორებისა და სტიმულატორების გამოყენება ტრანსპორტირებამდე ან ტრანსპორტირების დროს. სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა და ცხოველთა დაკვლის ასაკიც რეგლამენტირებულია და მათი დაკვლა მხოლოდ ზრდის დასრულების შემდეგ არის შესაძლებელი. მთავრობის დადგენილებაში, გაწერილია სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავების, შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის წესებიც. მაგალითად, ბიოწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებით განახლებული მეორადი გამოყენების ან ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალის, შესანახი კონტეინერისა და ჭურჭლის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემის დაცვას დაბინძურებისაგან; ბიოპროდუქტები უნდა ინახებოდეს არაბიოპროდუქტისგან იზოლირებულად. ამ წესების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იმ მეწარმეების დაცვაა, რომლებიც შესაბამისი მოთხოვნილებით და პასუხისმგებლობით აწარმოებენ

ბიოპროდუქტს. ამის გამო მკაცრად რეგულირდება ტერმინების: „ბიოლოგიური“, „ორგანული“, „ეკოლოგიური“, „ეკოლოგიურად სუფთა“, „ბიო“, „ეკო“, გამოყენება და მსგავს სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია, აბრევიატურა, სიმბოლო, სავაჭრო ნიშანი, ან/და ლოგო. მოცემული წესები ვრცელდება ბიოპროდუქტზე, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ან გამიზნულია ბაზარზე გასატანად.

ბიოწარმოების/ბიომეურნეობის სერტიფიცირება ნებაყოფლობითია და ხორციელდება ოპერატორის ინიციატივით, ხოლო სერტიფიცირებას ატარებს აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანო. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ოპერატორი, რომელიც აწარმოებს ბიოპროდუქტს, რეგისტრირებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იგი ვალდებულია სერტიფიკაციის ორგანოს შეუქმნას სათანადო პირობები ინსპექტირების განხორციელებისათვის. სერტიფიკატი უნდა დადასტურდეს ყოველწლიურად.

თანამედროვე მსოფლიოში სოფლის ბიომეურნეობის ბევრი მეთოდია დამუშავებული. ჩვენ სანიმუშოდ რამდენიმე მათგანს მოვიტანთ. მათ შორის იქნება ის მეთოდები, რომლებიც ძირითადად ნიადაგის აღწარმოებასა და ბიოგანაყოფიერებასთან არის დაკავშირებული და ასევე რომელთა დანერგვა შედარებით ადვილია და კარგი დასაწყისი იქნება ამ მიმართულებით აქტივობისათვის. ჩვენი აზრით, ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში დიდად პერსპექტიულია ისეთი ეკოლოგიური სასაქონლე დანიშნულების პროდუქტების წარმოება, როგორცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ხორცი და მათი გადამუშავებით მიღებული პროდუქტები; კარტოფილი, თაფლი. ცაგერის რაიონში პერსპექტიულია ბიოღვინის წარმოება.

ვინაიდან ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი მსხვილფეხა მესაქონლეობაა, პერსპექტიულად მიგვაჩნია კალიფორნიული წითელი ჭიაყელას ტექნოლოგიის დანერგვა, რადგან იგი იდეალური გადამამუშავებელია თითქმის ყველა ორგანული ნარჩენის, მათ შორის ნაკელის - ბიოჰუმუსად. ამ ჭიაყელას უპირატესობა ისაა, რომ, ძალიან სწრაფად იზრდება და მეტად გაუმადლარია.

წითელი კალიფორნიული ე.წ. ტექნოლოგიური ჭიაყელა გამოიყვანეს 1959 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში, წვიმის ჭიაყელების სხვადასხვა სახეობის ჰიბრიდიზაციის შედეგად: მისი სიგრძე 10-20სმ-ა, დიამეტრი - 3-5 მმ, მოზრდილი ჭიაყელა იწონის 0,24 გრ.-დან 1,4 გრ.-მდე. ახალი თაობა მიიღება 21 დღის შემდეგ. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს დაახლოებით 3 თვეში. ორი ჭიაყელას შთამომავლობა წელიწადში აღწევს 3 ათასს, ჭიაყელების პოპულაცია 40 დღის შემდეგ ორმაგდება. ის იზრდება

ყველგან სადაც ტემპერატურა არ სცდება 0°C-40°C ფარგლებს, ხოლო რადროსაც ყველაზე აქტიურად მრავლდება არის 14°C-27°C შუალედი. ჭიაყელა გამრავლებას წყვეტს 7 °C-ზე, ხოლო 0°C-ზე როგორც აღვნიშნეთ, ილუპება. ამიტომ გამოსაზამთრებლად მისთვის საჭიროა გარკვეული ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ყოველდღიურად მოხმარებული რაციონი მისი წონის შესაბამისია, ხოლო გამონაყოფი კი გამოყენებული საკვების 55%-ია. ის გადაადგილების შემდეგ მიწაში ტოვებს ხვრელს გამონაყოფითურთ და ეს ფართობი უფრო ნაყოფიერი ხდება ვიდრე ქიმიური სასუქებით დამუშავების შემთხვევაში. დადგენილია, რომ მათი გამოყენების შედეგად მოსავლიანობა 30-50%-ით იზრდება. გამონაყოფი ანუ ე.წ. კოპროლიტები არის სწორედ ის ძვირფასი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც ქმნის ბიოჰუმუსს. მის 50%-იანი ტენიანობის მქონე სუბსტრატში 12-15% ჰუმუსია, ხოლო აგროქიმიური ფასეულობა მშრალი ბიოჰუმუსისა არის: ჰუმუსი 25-30%, აზოტი 0,8-2%, ფოსფორი 0,8-2%, კალიუმი 0,7-1,2%, მაგნიუმი 0,3-0,5%, მჟავიანობა PH=6,9-7,2, მიკროფლორა 2X109/გრამი. 1 ტონა ბიოჰუმუსი 10 ტონა საკვლს ცვლის.

ბუნებრივ პირობებში ამ ჭიაყელას სიმკვრივე მეტად ცვალებადია და ერთ კუბურ მეტრზე დაახლოებით 100-20000 ერთეულს შეადგენს. აღსანიშნავია ერთი საოცარი ფაქტიც - ბიოჰუმუსის გამოყენების შემთხვევაში ზოგიერთი სარეველა აღმოცენების უნარს კარგავს. კოპროლიტები შეიცავს 5-ჯერ მეტ აზოტს, 7-ჯერ მეტ ფოსფორს, 5-ჯერ მეტ კალიუმს და 2-ჯერ მეტ კალციუმს იმ ნივთიერებასთან შედარებით, რასაც წითელი კალიფორნიული ჭიაყელები ნთქავენ. ეს ჭიაყელა ეკოლოგიური სისუფთავის ერთგვარი ინდიკატორიცაა, რადგან თუ ის კარგად მრავლდება ე.ი. ნიადაგი არ არის ქიმიურად დაბინძურებული. კალიფორნიული ჭიაყელას უნიკალური თვისებაა ისიც, რომ ის საუკეთესო საკვებია შინაური ფრინველისა თუ თევზებისთვის.

საშუალოდ ერთი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წელიწადში გამოყოფს 9-10 ტონა საკვლს. დავუშვათ რომ ლენტეხისა და ცაგერის პირობების გათვალისწინებით სადაც საქონელი დაახლოებით ნახევარ წელიწადს ბაგურ კვებაზე, მოხერხდება ამ რაოდენობის ნახევარის შეგროვება. მარტივი გაანგარიშების შედეგად ვიღებთ, რომ ერთი ცხოველისგან საშუალოდ შესაძლებელია 4,5ტX55%=2,475ტ ანუ დაახლოებით 2,5 ტონა ბიოჰუმუსის წარმოება. გარდა ამისა, მიიღება ჭიის ბიომასა 500 კგ-ს ოდენობით. 1 ტ. ბიოჰუმუსის მინიმალურ ფასი სადღეისოდ 200 აშშ დოლარია, ძვირია ჭიაყელაც, ანუ თითოეულმა მსხვილფეხა რქოსანმა პირუტყვმა ამ ფორმით შეიძლება დამატებით 500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციისთვის ნედლეული მისცეს ფერმერს.

საქართველოში, კერძოდ „რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“ მიერ უკვე შემოყვანილია კალიფორნიული ჭიაყელას ჰიბრიდული ჯიშები, რაც გაადვილებს ლენტეხისა და ცაგერის რაიონის მოსახლეობისთვის მათ მოპოვებას.

კალიფორნიულ წითელ ჭიაყელაზე უფრო რთულია ე.წ. M-ტექნოლოგია, რომელიც შერეული კულტურებისა და სასარგებლო მიკროორგანიზმების გამოყენებას ეფუძნება. პირველად ეფექტიანი ე.წ. მიკროორგანიზმები იაპონიაში იყო კულტივირებული დოქტორ ტეროუ ჰიგას მიერ. ეს მიკროორგანიზმები მოიცავს 80-მდე სახეობას. ამ ტექნოლოგიის საშუალებით, ერთი მხრივ, შესაძლებელია სოფლის მეურნეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა და ამავე დროს ხარისხიანი ბიოპროდუქციის წარმოება. ამ ტექნოლოგიის საფუძველი ისაა, რომ ნიადაგსა და უპირველესად მის ნაყოფიერ ფენაში, ჰუმუსში მინერალებისა და ორგანული ნივთიერებების შესათვისებლად გამოყენებულია მიკროორგანიზმები, რომლებიც ამ პროცესს მკვეთრად სწრაფად და ეფექტიანად უზრუნველყოფს. ამ ტექნოლოგიის მეშვეობით ისეთი ნიადაგების აღდგენაც შეიძლება, რომლებიც ქიმიზაციითაა მკვეთრად დაზიანებული და რომელთა ბუნებრივი ბიომრავალფეროვნება დარღვეულია.

მეფუტკრეობა. მეფუტკრეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგია. თითქმის ყველა რაიონში შეიძლება ფუტკრის მოშენება და გარდა პირდაპირი პროდუქციისა, რაც თავის მხრივ რამდენიმე სახისაა, ამ მწერის მუშაობას უნიკალური ირიბი ეფექტიც გააჩნია, კერძოდ ის მონაწილეობს მცენარეთა და მათ შორის სასოფლო-სამეურნო კულტურათა დამტვერვის პროცესში, რითიც 30%-მდე ზრდის მათ მოსავლიანობას. ეს მეტად შთამბეჭდავი მაჩვენებელია და ხშირ შემთხვევაში ფუტკარი ამ კუთხით უფრო დიდ სარგებელს აძლევს ადამიანს, ვიდრე თავლისა და სხვა პროდუქციის წარმოებით. ევროპაში ფუტკრის ეს თვისებაც კომერციალიზებულია და მაგალითად, გერმანიაში ერთ სკაზე მეფუტკრე, იმის მიხედვით, თუ რომელ კულტურას დაამტვრიანებს მისი ფაუტკარი, 20-50 ევროს იღებს. გარდა ამისა, ეს საოცარი მწერი ექვსი დასახელების პროდუქტს იძლევა; ესენია - თაფლი, სანთელი, სადედე რძე, ყვავილის მტვერი, დინდგელი ანუ პროპოლისი და ფუტკრის შხამი.

სეზონზე ფუტკრის ერთი ოჯახი კარგი მოვლის პირობებში დაახლოებით 20-25 კგ. თაფლს იძლევა, თუმცა თითოეულ სკაში ეს პროდუქტი გაცილებით მეტი მზადდება, მაგრამ დანარჩენი თაფლი

თავად ფუტკრებს სჭირდებათ გამოსაკვებად. ხშირად ისეც ხდება, რომ მეფუტკრე მეტ თავფლს იღებს სკიდან, ხოლო ფუტკრის საჭმელად კი მას შაქრითა და სხვა ნივთიერებით ჩაანაცვლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ მივიღებთ ჭეშმარიტ ეკოლოგიურ პროდუქტს. მიუხედავად იმისა, რომ თავფლის უნიკალურ თვისებებზე არავინ დავობს, მისი ხარისხი და შესაბამისად ფასები ძალიან განსხვავდება. მაგალითად, აშშ-ში, რომელიც თავფლის ყველაზე დიდი მომხმარებელია მსოფლიოში, საკმაო რაოდენობით პროდუქციასაც აწარმოებენ. მაგრამ აქ გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მაგალითად - სოიოს, იონჯას, ბამბის, წიწიბურას, სამყურას და ა.შ. თავლი, თუმცა ამ პროდუქტის საბითუმო ღირებულება არ არის მაღალი და ის დაახლოებით 4-5 დოლარია 1 კგ-ზე. სამაგიეროდ კარგად ფასობს ე.წ. „ტყის თავლი“. მაგალითად, გერმანიაში მისი საშუალო ფასია 8 ევრო 1 კგ-ზე, ხოლო კონკრეტული ბოტანიკური წარმოშობის თავფლის ფასი კი ორჯერ მეტია და კილოგრამზე 16 ევრომდე ადის. ლენტეხისა და ცაგერის რაიონების (ისევე როგორც დანარჩენი საქართველოს) მეფუტკრეებისთვის მეტად სასარგებლოა ევროკავშირში დამკვიდრებული ის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც თავფლის კონკრეტული გეოგრაფიული ან მცენარეული წარმოშობა მასზე პრემიალურ ფასნამატს განაპირობებს, რადგან ეს ადასტურებს მის ფარმაკოლოგიურ ან ორგანოლეპტიკურ თვისებებს. ბოტანიკური წარმოშობის მიხედვით ევროკავშირში დაცულია 16 კატეგორიის თავლი, ხოლო ტერიტორიული ნიშნით კიდევ სამი კატეგორიის. ურიგო არ იქნება თუ ბიზნესმენები და სახელმწიფო ორგანოები იზრუნებენ, რომ მსგავსი რამ საქართველოს კონკრეტული რეგიონების მიხედვითაც განხორციელდეს და ეჭვგარეშეა, რომ ამ მხრივ ყურადღებას პირველ რიგში სწორედ ჩვენ მიერ განხილული რაიონები იმსახურებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში დიდი როლი თავად მეფუტკრეებსაც ეკისრებათ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ პროდუქტის შემოწმება, შეფუთვა, მარკეტინგი უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამის გარეშე იკარგება ის უდიდესი პოტენციალი რასაც ჩვენი მაღლიანი ბუნება იძლევა და ცალსახად, უმაღლესი ხარისხის თავლი შეიძლება დაბალ კატეგორიაში აღმოჩნდეს ჩინურ და ინდურ პროდუქტთან ერთად, რისი ფასიც 1 კგ-ზე 3-4 აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში რამდენიმე სახის თავლი იწარმოება, რომელთაგან ზოგიერთს ნამდვილად აქვს შანსი ევროკავშირის ბაზარზე პრემიუმ კლასის პროდუქციას მიაკუთვნონ, ესენია: ყველაზე საუკეთესო თვისებების ალპური თავლი, რომელიც ღია ყავისფერი შეფერილობის, საშუალო სიტკბოსი და ძლიერი სასიამოვნო არომატისაა, რაც დამახასიათებელია ალპური ზონის ყვავილებისთვის. წარმოებულია ეკოლოგიურად სუფთა, ათეულობით სამკურნალო მცენარეებიდან და შეუცვლელია ნერვული სისტემის მოსაწყისრიგებლად. შეიცავს მრავალ სასარგებლო მიკროელემენტებს. მდიდარია

მინერალებით და ხასიათდება მაღალი ანტიბაქტერიული თვისებებით; აკაციის თაფლი, ისიც უმაღლესი ხარისხის თაფლთა კატეგორიას მიეკუთვნება. ის ახლად გამოხდილი გამჭირვალე ძალზე ნაზი არომატით, კრისტალდება ნელა. დაკრისტალებისას ღებულობს თეთრ ფერს. შეიცავს 40,35% ფრუქტოზას, 35,98% გლუკოზას, pH-4,0. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება. გამოიყენება როგორც ორგანიზმის საერთო გამამდიერებელი საშუალება, უძილობის, კუჭ-ნაწლავის, ნაღვლისა და თირკმლების დაავადებათა სამკურნალოდ; ცაცხვის თაფლიც, უმაღლესი ხარისხისაა. სარგებლობს დიდი პოპულარობით მოსახლეობაში. აქვს ღია-ყვითელი ფერი, სასიამოვნო არომატი და მძაფრი სპეციფიკური გემო. კრისტალდება სწრაფად. შეიცავს 39,27% ფრუქტოზას, 36,05% გლუკოზას, pH-3,7. გამოირჩევა მკვეთრად გამოკვეთილი სასარგებლო და სამკურნალო თვისებებით. ახასიათებს ანტიბაქტერიული მოქმედება. გამოიყენება დამწვრობის დროს, ანგინის, სურდოს, ლარინგიტის, ბრონქიტის, ბრონქონალური ასთმის, თირკმლების, ნაღვლისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ; მინდვრის ყვავილების თაფლი, მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის თაფლს. აქვს ღია ყვითელი ან მუქი ყვითელი ფერი, სასიამოვნო არომატი და კარგი ტკბილი გემო. კრისტალდება სწრაფად. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება. გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ, აწყნარებს ნერვულ სისტემას. რეკომენდირებულია თავის ტკივილის, უძილობის, გულისა და კუჭის დაავადებების დროს; წაბლის თაფლი მუქი ფერით, მძაფრი სუნითა და მომწარო გემოთი გამოირჩევა. კრისტალდება ნელა. pH-3,0. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება. რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის, თირკმლებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს; ხეხილის თაფლი, ახლად გამოწურულ თაფლს აქვს გამჭირვალე ფერი მოყვითალო - მოწითალო ელფერით. დაკრისტალების შემდეგ ღებულობს ღია ყვითელ ფერს. აქვს სასიამოვნო არომატი და ტკბილი გემო. შეიცავს 45% ფრუქტოზას და 31,67% გლუკოზას. ახასიათებს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება.

მეტად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2014 წლის ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამოქმედდება ლაბორატორია, რომელიც თაფლის შემოწმებას ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით შეძლებს. აქ განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ თაფლი ყველაზე რთულად საანალიზო პროდუქტად ითვლება და თუ საქართველოში ეს მოხერხდა, მაშინ ყველა სხვა პროდუქტის ანალიზი და სერთიფიცირებაც შესაძლებელი გახდება. ამ ლაბორატორიამ უკვე გაიარა საერთაშორისო შემოწმება და მას ISO 17025 სერთიფიკატი მიენიჭა.

თაფლი მართალია, ფუტკრის ყველაზე ცნობილი პროდუქტია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ არა ერთადერთი. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ყველა კუთხიდან დავანახოთ მკითხველს ის სიკეთე, რაც ამ საოცარ მწერს მოაქვს. ფუტკრის რძე რთული ბიოლოგიური პროდუქტია. ის შეიცავს ცოცხალი ორგანიზმის მშენებლობისთვის საჭირო ყველა ძირითად ნივთიერებას: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ჰორმონებს, ფერმენტებს, 22 ამინომჟავას, რის გამოც უძვირფასეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება. ჩვეულებრივ პირობებში ერთი სკიდან შესაძლებელია რამდენიმე გრამი ფუტკრის რძის წარმოება, მაგრამ იაპონიაში სელექციური ფუტკრის ჯიშის მეშვეობით 20-30 გრ.-ს მიღებას ახერხებენ. ევროპის ბაზარზე 10 გრ. ფუტკრის რძე 8-25 ევრო ღირს. ფუტკრის ოჯახზე აქტიური სეზონის განმავლობაში შეიძლება დამზადდეს 2-3 კგ ყვავილის მტვერი, რაც სათაფლე პროდუქტიულობას არ ამცირებს. ის უამრავ ვიტამინს და მიკროელემენტს შეიცავს და მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. მაგალითად, მის შემადგენლობაში შედის ერთ-ერთ ელემენტი, რომელიც სისხლ-წარმოქმნის ბრწყინვალე სტიმულატორია. ევროკავშირში მისი ფასი 15-80 ევრომდე მერყეობს 1 კგ-ზე. დინდგელი ანუ პროპოლისი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, იყენებენ იმუნიტეტის ასამაღლებლად, სურნელოვანი, ბალზამური არომატის მქონე, ძალიან მდგრადი ნივთიერებაა. მისი საწარმოო მასშტაბით შეგროვებას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. საქართველოს პირობებში ფუტკრის ერთ ოჯახზე წარმოებული დინდგელის ოდენობა 50-150 გ-ს შეადგენს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა მოწყობილობები, რამაც თვალსაჩინოდ გაზარდა დამზადებული დინდგელის რაოდენობა. პროპოლისის ფასი ევროკავშირის ბაზარზე 10-15 ევრომდე მერყეობს 10 გრამზე. ფუტკრის პროდუქტებიდან ყველაზე ძვირია ფუტკრის შხამი, რომელიც მრავალი სამედიცინო პრეპარატის დასამზადებლად გამოიყენება. ფუტკრის შხამის მცირე დოზები ადამიანის ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, აღადგენს და აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, აფართოებს სისხლძარღვებს, სისხლში ადაბლებს ქოლესტერინს, აყუჩებს ტკივილს, ზრდის საერთო ტონუსს და შრომისუნარიანობას, აუმჯობესებს ძვლის ტვინის მუშაობას. საქართველოში ერთი ფუტკრის ოჯახიდან 2-3 გრ. შხამი იწარმოება თუმცა ამ მაჩვენებლის 10 გრამამდე აყვანაც შესაძლებელია. 1 გრ. ფუტკრის შხამის ფასმა, მისი ხარისხისა და სისუფთავის გათვალისწინებით, შეიძლება 1000 ევროს მიაღწიოს.

მეფუტკრეობას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საქმეში. ამ დარგის სპეციფიკა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ იგი განსაკუთრებით წაადგება

აღნიშნულ რაიონებში ქალთა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, რადგან ფუტკრის მოვლა არ მიეკუთვნება ფიზიკურად მძიმე საქმიანობათა კატეგორიას. თუმცა აუცილებელია, მეფუტკრეობაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამსუბუქებს შრომის პროცესს. მაგალითად, ჩვენ მიერ აღინიშნა, რომ USAID-ის მიერ დაფინანსებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა NEO-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მეფუტკრეობის მხარდაჭერა, რასაც ის რაჭა-ლეჩხუმშიც ახორციელებს. ამ პროექტის ხელშეწყობით მეფუტკრეებს გრანტის სახით 500 თანამედროვე სკა გადაეცათ. აქ მნიშვნელოვანია, ის, რომ ჩვენთან მეფუტკრეობაში ჯერ კიდევ იყენებენ მოძველებულ ე.წ. დადანბლატის ტიპის სკებს რაც ზრდის შრომით დანახარჯებს, ხოლო პროექტის მონაწილეებს თანამედროვე ლანგსტროტის ტიპის სკები გადაეცათ. ეს სკები დამზადებულია თხელი მასალისგან და სამუშაოდაც ბევრად მსუბუქი და მარტივია. ამ ტიპის სკებზე მეფუტკრეობის თანამედროვე ტექნოლოგიაც არის მორგებული, რაც კორპუსით მუშაობას ითვალისწინებს განსხვავებით დადანბლატის სკისგან, რომელზე მუშაობაც ჩარჩოებით მიმდინარეობს, რაც გაცილებით შრომატევადია. ლანგსტროტის სკა საწარმოო ტიპისაა, რომელსაც ბევრი უპირატესობა აქვს, ხოლო მთავარი კი ის არის, რომ მისი გამოყენების შედეგად ნაკლები შრომით მეტი თაფლის მიღებაა შესაძლებელი.

ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ტყიანობის, თაფლის მომცემ მცენარეთა ფართობების გათვალისწინებით, ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შესაძლებელია დაახლოებით 20 ათასი ფუტკრის ოჯახის შენახვა. ეს კი საშუალოდ 400-მდე წელგამართული საოჯახო მეფუტკრეობის ფერმაა, სადაც დასაქმებული იქნება მინიმუმ ამდენივე რაოდენობის ქალი. მაგალითად, ასეთი მეფუტკრეობის ფერმის შემოსავალი, საქმის სათანადოდ აწყობის შემთხვევაში, მხოლოდ იმ სამი პროდუქტის (თაფლი, ყვავილის მტკერი და დინდგელი) მიხედვით, რის წარმოებაც უპრობლემოდ შეუძლია ადგილობრივ ფერმერს, უნდა იყოს მინიმუმ 25 ათასი ლარი წელიწადში. ჩვენ მიერ სეზონზე გაანგარიშების თანახმად 1 სკაზე მივიღებთ: თაფლი - 20კგ. X10ლარი=200 ლარი, ყვავილის მტკერი - 2კგ X100ლარი=200 ლარი, დინდგელი - 100გრ. X2ლარი=200 ლარი, სულ 600 ლარი. რაც 50 ფუტკრისოჯახიანი მეურნეობისთვის მატერიალურ საშუალებებზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით, 25 ათასი ლარის შემოსავალს შეადგენს წელიწადში. გაანგარიშებიდან ნათლად ჩანს, რომ მეფუტკრეობის პროდუქტთა შორის თაფლზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ყვავილის მტკერი და დინდგელი. ხოლო მეფუტკრეობის მეურნეობის რენტაბელობისთვის ფერმერმა აუცილებლად უნდა აწარმოოს ეს პროდუქტებიც, მით უმეტეს, რომ მათი

წარმოება არ ამცირებს თაფლის გამოსავლიანობას.

მეკარტოფილეობა. ლენტეხის და ცაგერის რაიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობები მეკარტოფილეობის განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა. თუმცა ამ საქმეს ხელს მცირემიწიანობა უშლის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 17,8% შეადგენს, ხოლო სახნავ-სათესი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 11,7%-ია. ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია ლენტეხის რაიონში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის მთლიანი ფართობის დაახლოებით 17%-ი, ხოლო სახნავ-სათესზე კი მთლიანი ტერიტორიის სულ რაღაც 1,2%-ი. რაც შეეხება კარტოფილით დაკავებულ ფართობს, ეს მონაცემები არ არსებობს, თუმცა სავარაუდოდ ლენტეხში ეს მაჩვენებელი რამდენიმე ასეულ ჰექტარს უნდა შეადგენდეს, ხოლო ცაგერში კი ნაკლებს. ვფიქრობთ, რომ ამ რაიონების პოტენციალი იძლევა სახნავ-სათესი სავარგულების გადიდების შესაძლებლობას და ეს (განსაკუთრებით ლენტეხის რაიონში) სწორედ მეკარტოფილეობის ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს ყველაზე მეტად, რადგან ეს კულტურაა მკაცრ კლიმატურ პირობებთან ყველაზე უფრო შესაფერისი. ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სუბალპურ და ნაწილობრივ ალპურ ზონასაც, სადაც შესაძლებელია კარტოფილის მოყვანა. აქ საინტერესოა პერუს გამოცდილება. ამ ქვეყანაში კარტოფილი რაციონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია და ის დიდი რაოდენობითაც მოჰყავთ, ხოლო ამ კულტურის ვერტიკალური გავრცელება ცენტრალურ ანდეზში ძირითადად 2500-4500 მ. არეალშია.

კარტოფილის ჯიშებს ყოფენ ოთხ ჯგუფად: სუფრის, ტექნიკურ, საკვებ და უნივერსალურ ჯიშებად. საქართველოში დარაიონებული კარტოფილიდან ძირითადად მოჰყავთ სასურსათო ანუ სუფრის და უნივერსალური ჯიშები. ჩვენთან, ამ ბოლო დროს ევროპაში გამოყვანილი კარგი ხარისხის ჯიშები ვრცელდება, რომელთაგან აღსანიშნავია:

ბუხანა - შოტლანდიური ჯიშია, გასავრცელებლად დაშვებულია 2000 წლიდან, საგვიანო ვეგეტაციისაა, კარგი მოვლის პირობებში იძლევა 30-45 ტ/ჰა-ს;

კარატოფი - გერმანული ჯიშია, გასავრცელებლად დაშვებულია 2000 წლიდან და ულტრა-საადრეოა, სავეგეტაციო პერიოდი 60-65 დღე, კარგი მოვლის პირობებში იძლევა 15-25 ტონას;

დეზირე - გერმანული ჯიშია, დაშვებულია 2000 წლიდან, კარტოფილის მწარმოებელი ყველა ზონისთვის, კარგი მოვლის პირობებში როგორც საადრეო კარტოფილი იძლევა 20-25 ტ/ჰა-ს, ხოლო შემოდგომით აღების შემთხვევაში 25-40 ტ/ჰა-ს;

პალმა გერმანული ჯიშია, დაშვებულია 2000 წლიდან კარტოფილის

მწარმოებელი ყველა ზონისთვის, ვეგეტაციის პერიოდია 105-115 დღე, კარგი მოვლის პირობებში იძლევა 30-45 ტ/ჰა-ს.

კოსმოსი ჰოლანდიური ჯიშია ის საშუალო-საგვიანო ვეგეტაციისაა, კარგი მოვლის პირობებში იძლევა 30-45 ტ/ჰა-ს;

პიკასო ჰოლანდიური ჯიშია, დაშვებულია 2000 წლიდან, ის საშუალო-საგვიანო ვეგეტაციისაა, კარგი მოვლის პირობებში იძლევა 35-50 ტ/ჰა-ს.

კარტოფილი კარგად ეგუება ერთსა და იმავე ადგილზე მოყვანას და შესაძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეეცვალოთ ნაკვეთი, თუმცა 2-3 წლის შემდეგ, 3-4 წელი ის არ უნდა დაბრუნდეს პირვანდელ ფართობზე. განსახილველი რაიონების პირობებში მისთვის კარგი წინამორბედი კულტურა იქნება სიმინდი და პარკოსნები. თესლბრუნვის მოთხოვნები დაცული უნდა იყოს, რადან კარტოფილის შემთხვევაში ეს არ არის რთული და ამავე დროს არ ეწინააღმდეგება ბიომეურნეობის პრინციპებს.

ჩვენ ზემოთ საუბარი გვქონდა ბიომეურნეობის უპირატესობის შესახებ და უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით კარგად სწორედ მეკარტოფილეობისთვის არის დამუშავებული. სწორი გამდლოის შემთხვევაში ორგანული მეთოდებით შეიძლება ჰექტარზე 20-25 ტონა კარტოფილის მოყვანა, რაც დაახლოებით 30-40%-ით მეტია ჩვეულებრივი მეთოდებით მოწეულ მოსავლიანობასთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამჟამად ლენტეხის რაიონში კარტოფილის საჰექტარო მოსავლიანობა საშუალოდ 10 ტ/ჰა-ს შეადგენს, ბიომეურნეობის წამოწყების შემდეგაც კი შეიძლება აქ მოსავლიანობის მნიშვნელოვანი მატება. თვით განვითარებულ ქვეყნებშიც ორგანულ მეკარტოფილეობაზე გადასვლის შემდეგ მეურნეობათა შემოსავალი 20-25%-ით იზრდება, ხოლო ჩვენ მიერ განხილული რეგიონის პირობებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება. ორგანულ კარტოფილზე ევროპასა და ამერიკაში დიდია მოთხოვნა და ის განუხრელად იზრდება. 1 კგ-ს საცალო ფასი 4 ევროზე მაღალია, ხოლო საბითუმო კი 1-2 ევროს უტოლდება. საინტერესოა ერთი ფაქტი, კერძოდ, კარტოფილის ფასმა ფანტასტიკურ მაჩვენებელსაც შეიძლება მიაღწიოს, მაგალითად, საფრანგეთის კუნძულ ნაურმუტიეზე მოჰყავთ მსოფლიოში ყველაზე ძვირი La Bonnotte-ს ჯიშის კარტოფილი, რომლის 1 კილოგრამი 500 ევრო ღირს. ცხადია ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ მაგალითით მხოლოდ მივუთითებთ, რომ მეწარმეობრივი დამოკიდებულება ბევრი პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა და ამავე დროს ხაზს ვუსვამთ ევროკავშირის ბაზრის მნიშვნელობას, სადაც საღ პროდუქციას ყოველთვის ჰყავს დამფასებელი.

მცხოვრელობა. ლენტეხისა და ცაგერის არამარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მთელი ეკონომიკის საფუძველი მცხოვრელობაა. აქ ამ დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია ბუნებრივი სათიბ-სამოვრები. არ უნდა დაგვავიწყდეს ტყის დიდი ფართობიც, რაც მეღორეობისთვის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს. ამ ორ რაიონში ერთობლივად დაახლოებით 31800 ჰა სათიბ-სამოვარია, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 85%-ია, ხოლო მთლიანი ფართობის 15,2%-ი. უკანასკნელი მონაცემებით ორივე ადმინისტრაციულ ერთეულში დაახლოებით 14 000 სული მსხვილფეხა პირუტყვია, თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს მაჩვენებელი ორჯერ და მეტად დიდი იყო და 30 000 სცდებოდა. ამ პერიოდისთვის ორივე რაიონში იყო 30 000-ზე მეტი ღორი და 5 000-მდე თხა და ცხვარი.

სათიბ-სამოვრები საქართველოს მთიანეთის და კონკრეტულად ამ რაიონების დიდი სიმდიდრეა. მრავალი ფაქტორი ადასტურებს მის მნიშვნელოვან როლს მცხოვრელობის განვითარებისთვის. ცნობილია, რომ, მთის ბუნებრივ-კლიმატური პირობები მეტად შესაფერისია პირუტყვის ორგანიზმისთვის და ძოვების დროს პროდუქტიულობაც ამიტომ იზრდება. პირუტყვი ივნის-აგვისტოში სეზონური ძოვების შდეგად, ხშირად, მთელი წლის განმავლობაში მისაღები რძისა და ხორცის პროდუქციის 50-70%-ს იძლევა. ცხადია, რომ მსგავს პროდუქტიულობას მარტო კლიმატი არ განაპირობებს და უმნიშვნელოვანესი როლი ამ მხრივ მწვანე ბალახს აქვს. მაგალითად, მეწველი ფური 1 ტონა სამოვრის ბალახის ნატურალური სახით შეჭმისას იძლევა 333 კგ რძეს და ეს მაშინ, როდესაც, იმავე მასის სენაყის საკვებად გამოყენებისას მიიღება 262 კგ. რძე; სილოსის ან შემქვანარი მასის გამოყენებისას 242 კგ; ხელოვნურად გამშრალი თივის გამოყენებისას 190 კგ. და ბუნებრივად მიწოდებულ გამშრალი თივის მიღებისას კი 80 კგ.. მწვანე ბალახის მსგავსი ყუათიანობა მასში ადვილად მონელებადი ნივთიერებების არსებობით არის გამოწვეული. ამავე დროს ისიც მნიშვნელოვანია, რომ მთის მდელოებზე გაზრდილი და გამოკვებილი საქონელი ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე იძლევა ნატურალურ პროდუქციას, რადგან სამოვრის ბალახი ბუნებრივად დაბალანსებულ საკვებს წარმოადგენს. მცენარის მწვანე მასაში საკვები ნივთიერებების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია ვიდრე თივაში, რომელიც იმავე ბალახიდან არის დამზადებული. მაგალითად, სამოვრული ბალახი ვიტამინ A-ს 10-ჯერ მეტს შეიცავს ვიდრე თივა, რაც შეხება მინერალურ ნივთიერებებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია პირუტყვის ზრდა-განვითარებისთვის, მწვანე სამოვრულ ბალახში ის საკმარისი რაოდენობითაა. ამიტომ არის, რომ საქონელი სამოვრებზე ყოფნის შემდეგ გაცილებით ადვილად იტანს ზამთარში ბაგურ შენახვას და დაავადებების მიმართაც გამძლეა.

100 სული ფურის სეზონური მოვებისთვის საჭიროა 100-150 ჰა ალპური, სუბალპური ან ტყე მდელოს საშუალო ღირსების სამოვარი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეწველ ძროხას ყველაზე მეტი საკვები ესაჭიროება და ნახირში არამარტო მერძეული საქონელია წარმოდგენილი, საშუალოდ 1 მსხვილფეხა პირუტყვისთვის 1 ჰა სამოვარი საკმარისი უნდა იყოს. ამას თუ დავუმატებთ ტყისა და კულტურული მიწათმოქმედების პოტენციალსაც, ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში სრულიად რეალურია 30 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის შენახვა, რასაც ჩვენ მიერ ამ თავის დასაწყისში მოტანილი ადრეული წლების მაჩვენებლებიც ადასტურებს. ამ რაოდენობიდან ძირითადი ნაწილი მერძეული მიმართულებისა იქნება, თუმცა ნახირში მნიშვნელოვნად უნდა იყოს წარმოდგენილი სუქებაზე დაყენებული პირუტყვიც. ერთი მხრივ, ამის ბრწყინვალე საშუალებას ადგილობრივი სამოვრები იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, საქმისადმი მსგავსი მიდგომით შესაძლებელია ზამთრისთვის პირუტყვის სულადობის გარკვეული რეგულირება. მერძეული პირუტყვის ზონა მთა-ტყისა და სუბალპური სარტყელის ქვედა ნაწილის სამოვრებია. სასუქი პირუტყვის ზონაში გაერთიანებულია სუბალპური სარტყელის ზედა ნაწილისა და ალპური სარტყელის ქვედა ნაწილის სამოვრები. მაღალი მთის პირობებს უფრო შეგუებულია ცხვარი და თხა.

ჩვენი აზრით, განხილული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შესაძლებელია მეცხვარეობისა და განსაკუთრებით მეთხეობის მაღალ დონეზე განვითარება. თხა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს შორის ალბათ ყველაზე ნაკლებ პრეტენზიულია საკვების მიმართ და მისი შენახვა ტყის პირობებშიც შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს გადასაყვანი კოფეციენტები, რის თანახმადაც 100 სულიანი მსხვილფეხა პირუტყვის ნახირის გამოსაკვებად იმ რაოდენობის საკვებია საჭირო, რაც დაახლოებით 500-600 სულიან ცხვრის ან თხის ფარას ეყოფა, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1 მსხვილფეხა პირუტყვის მიერ გამოთავისუფლებულ ყოველ ადგილს 5-6 თხა ან ცხვარი დაიკავებს, რაც მნიშვნელოვნად დააბალანსებს წარმოებისა და შრომით დანახარჯებს.

ცხვრისა და თხის სულადობის გაზრდა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს ძირითადად ქალების დასაქმებას შეუწყობს ხელს, რადგან მათი მოვლა შედარებით მსუბუქ შრომასთან არის დაკავშირებული, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ რეგიონის კლიმატური პირობები და ხანგრძლივი ზამთარი, რომლის განმავლობაში მანდილოსნები, შეიძლება ქსოვით და სხვა ტრადიციული ხელსაქმით დაკავდნენ, რისთვისაც ნედლეულს მატყლის სახით, ეს ცხოველები იძლევიან, ოღონდ ამის გამო საჭიროა ჯიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება. ჩვენს ამგვარ ხედვას ამყარებს

რეგიონში არსებული ტრადიციაც, რომლის მიხედვითაც ცხვრის მოვლა ქალის საქმე იყო და ოჯახის უფროსმა ზოგჯერ არც კი იცოდა, რამდენი ცხვარი ჰყავდა და ამაზე საუბარი ეუხერხულებოდა კიდევ. ძირითადად ამით გასათხოვარი გოგონები იყვნენ დაკავებულნი, ისინი თვითონ უვლიდნენ ცხვრებს - მწყემსავდნენ, პარსავდნენ და მატყლისგან წინდებს, პაჭიჭებს, ხელთათმანებს, ტანსაცმელს ქსოვდნენ აგრეთვე მზითევსაც იმზადებდნენ.

კავკასიონისთვის დამახასიათებელია სუბალპური მაღალბალახიანი ტიპის მდელო, რომელიც ზღვის დონიდან 2400 მ-მდე სიმაღლეზეა. აქ თივის მშრალი მასის საშუალო მოსავალი შეიძლება 6 ტ.-ს გაუტოლდეს. ამ ტიპის ბალახნარებს ხშირად სათიბად იყენებენ. მთა-მდელოს მცირე სიმძლავრის ნიადაგებზე კი თივის მშრალი მასის საშუალო მოსავლიანობა 2 ტ.-მდეა. 2400-3000 მეტრამდე შესაძლებელია 1,5-2 ტ. მშრალი მასის მიღება. აქვე უნდა ითქვას, რომ საძოვრებისა და სათიბების გამოყენება რაციონალურად უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოსავლიანობა მკვეთრად, რამდენჯერმე ეცემა. ხოლო ისეთი მარტივი აგროკულტურული ღონისძიების შედეგადაც კი, როგორც არის ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, ერთსა და იმავე ფართობზე შეიძლება 20-35%-ით მეტი პირუტყვი შევინახოთ, ხოლო საძოვრის რაციონალურად გამოყენების მთელი სისტემის დანერგვის შედეგად საძოვრული სავარგულის პროდუქტიულობა 2-3-ჯერ იზრდება. სათიბ-საძოვრების პოტენციალის შესაფასებლად აუცილებელია ისეთი შესადარი მაჩვენებელი გამოვიყენოთ, როგორც არის მაგალითად საკვები ერთეული, რითაც სასოფლო-სამეურნეო ცხოველის საკვების ყუათიანობა იზომება და კგ-ში გამოისახება. 1 კგ საკვები ერთეული 1 კგ საშუალო ხარისხის შვრიის მარცვლის კვებითი ღირებულების ტოლია და ძროხის, ცხვრის, თხის ორგანიზმში უზრუნველყოფს დაახლოებით 150 გრ., ხოლო ღორისაში კი 170-180 გრ. ცხიმის დაგროვებას. ამ საზომით შეიძლება ყველა სახის საკვების კვებითი ღირებულების გამოსახვა. მაგალითად, 1 კგ. მთის ბალახი შეიცავს 0,26 საკვებ ერთეულს, ბალახის თივა 0,5 საკვებ ერთეულს, იონჯის თივა 0,44 საკვებ ერთეულს, თეთრი სიმინდის მარცვალი 1,33 საკვებ ერთეულს და ა.შ.

რეგიონში წარმატებულად შეიძლება განვითარდეს მეღორეობა. ღორის ხორცი ამჟამადაც ლენტეხისა და ცაგერის მოსახლეობის რაციონში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც ყველგან, ღორის საკვებად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახის ნარჩენები, თუმცა ჭეშმარიტად დიდი სიმდიდრე, რასაც ამ მხრივ ეს რაიონები ფლობენ ტყის რესურსებია. აქ უხვადაა მრავალი დასახელების კენკრა, ნაყოფი, მცენარე, რითაც წელიწადის მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ღორი შეიძლება გამოიკვებოს. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც ლენტეხისა

და ცაგერის და არც საქართველოს სხვა რეგიონების პოტენციალი არ არის შესწავლილი, თუმცა არსებობს ზოგადი მონაცემები, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის რეგიონის ტყის სარგებლიანობაზე.

საქართველოს ლანდშაფტები ერთმანეთისგან განსხვავდება ფიტომასის მოცულობით. მისი საშუალო რაოდენობა 1 ჰა-ზე შეადგენს 230 ტ.-ს. ფიტომასების მაქსიმალური რაოდენობა კი 500 ტ/ჰა-ზე მეტია, რაც დამახასიათებელია საშუალო მთის წიფლნარ-მუქწიწვიანი ლანდშაფტებისთვის. ლენტეხისა და ცაგერის დაბალმთიანი ტყეების ზონა ერთ-ერთი მაღალი რესურსული პოტენციალის მატარებელია. აქ წარმოდგენილია ფართოფოთლოვანების, წიწვიანებისა და შუა განედების ფლორის ნარევი. ზონის ფიტომასა საკმაოდ (450 ტ. 1 ჰა-ზე) მაღალია. ასევე დიდია მისი (20 ტ. 1 ჰა-ზე) პროდუქტიულობაც. უფრო ზემოთ შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეების ზონების ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს სხვადასხვა ფოთლოვნების, ნაძვნარის, ფიჭვნარის, მდელოებისა და ნაირბალახების გავრცელებას. აქ ფიტომასის მოცულობა 300 ტ.-აა 1 ჰა-ზე, ხოლო წლიური პროდუქტიულობა კი 13 ტ. 1 ჰა-ზე. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მთელი ეს ბიომასა (წლიური ნამეტი) მეცხოველეობისა და კონკრეტულად მელორეობის განვითარებისთვის ვარგისია, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ამ მიზნით გამოყენება შესაძლებელია.

არამარტო ამ რაიონებში, არამედ მთლიანად საქართველოშიც უნდა აღდგეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ტრადიციული წესები. ამ მხრივ რომ უდიდეს სიმდიდრეს ვფლობთ, ეს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული ყოველწლიური ყველის ფესტივალებით თუ გამოფენებითაც დასტურდება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში უკვე დაიწყეს ისეთი პროდუქციის წარმოება, როგორც არის თეთრი აბული, ღვინოში დავარგებული სულგუნი, თაფლში დავარგებული ყველი, გუდის ყველი, იმერული ყველი, სულგუნი, ტენილი ყველი, ჩეჩილი ყველი, ლავაში ყველი, დამბალხაჭო, გორჯოლო ყველი, მოშუშული ყველი, ჩუმი ყველი, ხელეური, ლუკმა ყველი, ჩოგი, ფოთოლში დაძველებული ყველი, მონასტრული ცისფერი ან ჯავახური ცისფერი, მონასტრული მაგარი ყველი, რბილი ყველი (ქილებში). მრავალფეროვანია აგრეთვე ყველის ის სახეობები, რომელთაც დასახელება ადგილწარმოშობის მიხედვით ეძლევათ. ლენტეხისა და ცაგერის გლეხობამ და მეწარმეებმა უნდა გამოიყენონ ეს მდიდარი ქართული საგანძური და თვითონაც დაიწყონ ასეთი პროდუქციის წარმოება. აქვე შესაძლებელია მეცხოველეობის იმ პროდუქტების წარმოებაც, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს ევროპაში და ტრადიციულია მისთვის. ამ მხრივაც, რომ გვაქვს პრეცედენტები ქვემოთ მოტანილი ფაქტებიდანაც ჩანს. მაგალითს ისევ ყველის შესახებ მოვიტანთ. საქართველოში აგრ უკვე საუკუნე-ნახევარია

არსებობს შვეიცარული ყველის წარმოების ტრადიცია, რომელიც უნდა აღდგეს. ჯერ კიდევ 1832 წელს მოსკოვის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შვეიცარული ყველი, რომელიც საქართველოში იყო დამზადებული. ხოლო, 1880-იანი წლებისთვის მარტო ბორჩალოს მაზრაში მოქმედებდა შვეიცარული ყველის 4 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 72 მუშა.

ლენტეხისა და ცაგერის რაიონების მეცხოველეობაში საჭიროა დაინერგოს მექანიზებული შრომის საშუალებები, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა კოოპერაციამ შეიძლება თქვას. მაგალითად, მერძეული პირუტყვის ყოლის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს შრომას (უპირველესად ქალისას) რძის საწველი აპარატები, ხოლო ცხვრისა და თხის მატყლის შერგოვებას აიოლებს საკრეჭი აპარატები და ა.შ.

დაგვიკავშირდით:

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საკოორდინაციო ჰაბში:

ელდინო ლიპარტელიანი: 555 316151

ე-ფოსტა: info@agromarketplace.org

შავი ზღვისპირეთის საკოორდინაციო ჰაბი:

დავით ბასილაია 551 224488

ე-ფოსტა: poti@agromarketplace.org

ასოციაცია-საზოგადოება განვითარებისათვის - (ფარავს აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისს)

ტელეფონი: 32 2 967550

ე-ფოსტა: cda@agromarketplace.org

სასარგებლო საკონტაქტო ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის ორგანიზაციების შესახებ

კომპანია ფასარგადი

თბილისი. ვ. ბაგრატიონის ქ., კორპ. 5, ბლოკი 1
299 60 20, 243 02 60, (598) 333 624
მეფრინველეობის ინვენტარი.

მაკრიალი

თბილისი. მოსკოვის გამზ. 6
(574) 74 74 64, (790) 888 088
მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, სათესლე მასალა,
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

პასიფლორა

თბილისი. წერეთლის გამზ. 142
235 68 75, (790) 37 17 28, (570) 70 50 13
ევროპული ხარისხის ბიო-ორგანული სათესლე, სარგავი მასალა.

აგრიექსპორტ ჯორჯია

თბილისი. ყაზბეგის გამზ. 11
(599) 64 64 70

აგროინვესტი

თბილისი. აღმაშენებლის გამზ. 20
296 91 64, (790) 26 78 88, (599) 56 91 95
სათბურები, მოწყვეის სისტემები, გათბობის სისტემები, სათესლე მასალა, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ხელსაწყო-იარაღები და მოწყობილობა-დანადგარები, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მონიტორინგი, აგროკონსულტაცია, - ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობის განვითარება.

აგრომოტორსი - ჯონ დირ-ის ოფიციალური დილერი საქართველოში
თბილისი. რობაქიძის გამზ. 20

აგრონოვაცია

თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. 2, სართ. 5 +1 მისამართი
238 97 05, (597) 10 27 06 ფაქსი: 238 97 05
სათესლე მასალა, სარწყავი სისტემები, სასუქები, ქიმიური საშუალებები, სასათბურე ტექნოლოგიები

აგროჯორჯია

თბილისი. კოსტავას I შესახვ., კორპ. 3, ბ. 52
292 24 72, (599) 38 80 89

აზია სერვისი

თბილისი. ზაჰესი, ავჭალის ქ. 64
214 45 35, (577) 45 03 45

ასპ ჯორჯია

თბილისი. ჯავახეთის ქ. 64
273 02 12
სასოფლო-სამეურნო ტექნიკა

ბიონერგია

თბილისი. გურამიშვილის გამზ. 84ა
(599) 15 27 05, (555) 31 01 05
სათბურები, შემის ღუმელები, ბიოგაზის დანადგარი, ჩირის
სამშრობები, საწყობები, ქარის გენერატორები, წყალგამწმენდი

ბიპიე

თბილისი. წულუკიძის ქ. 21
245 73 60, (577) 41 55 60
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, აგროხელსაწყოები,
ჰიდრაულიკური აქსესუარები

ბი-2-ბი

თბილისი. ც. დადიანის ქ. 7, სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა", სართ. 5
205 24 86, (568) 41 38 85, (595) 71 16 28
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა
გემა
თბილისი. მოსკოვის გამზ. 3
(574) 74 74 64, (790) 88 80 88
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

გეოტურ XXI

თბილისი. აგლაძის ქ., ელიავას ბაზრობა, სექტორი 2, მაღ. 16
(577) 47 48 24
აგრო-სამეურნეო საქონელი, წვეთოვანი სისტემები

დ&ს გრუპი

თბილისი. მარჯვენა სანაპირო 6
(599) 53 20 06

ტრაქტორები, მისაბმელები, ამწეები, მტვირთავები, მინიტრაქტორები,
მოტობლოკები

ევოკო მეტიზი

თბილისი. საბურთალოს ქ. 32 +2
290 48 84

სამშენებლო მასალები და სამუშაო ინსტრუმენტები

ევრო იმპორტი

თბილისი. აღმაშენებლის ხეივ. 12 კმ.
215 77 73, (595) 60 80 00

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

ვილანუს ბალტიკი

თბილისი. გარდაბნის გზატკ. 42
(595) 29 01 77, (595) 79 01 77

ქიმიური საშუალებები, მარაგნაწილები, სასუქები, თესლი

ზადენი

თბილისი. კოსტავას I შესახვ., კორპ. 3, ბ. 52
(599) 38 80 89

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

თერმა მექანიკალ

თბილისი. ყაზბეგის გამზ. 29ა
225 21 01, 222 64 26, 237 40 59

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

გრინტექსი

მარშალ გელოვანის გამზირი № 2
2 389 705, 2 180 280, 555 559 995

ავტომატური სარწყავი სისტემები

ინოვატეკი

თბილისი.
(599) 44 94 94

მექანიკური სათესები

ინტეგრ – საბითუმო ვაჭრობა
თბილისი. აგლაძის ქ. 34
(599) 79 55 49

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

ინტექსტანდარტი

თბილისი. ხოშარაულის ქ. 34
235 56 08, (599) 58 63 11

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

კავკასიის გენეტიკა

თბილისი. ნუცუბიძის ქ. 26ა
243 26 64, (570) 10 34 05, (570) 10 34 06

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გენეტიკური მასალა, ფერმისა და
ლაბორატორიის მოწყობილობები, რძის გადამამუშავებელი ხაზი

კლას

თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
(599) 935 935, 290 39 02

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

ლეგი ჯგუფი

თბილისი. ჭყონდიდელის ქ. 87
262 72 62

ყუთები და შესაფუთი მასალა

მაი აგრო

თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
(599) 935 935, 290 39 02

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

მექანიზატორი

თბილისი. ახმეტელის ქ. 10ა
230 57 21, 230 57 25, 230 57 29

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მომსახურება

მსოფლიო ტექნიკა

თბილისი. გორგასლის ქ. 51
290 50 00, 218 18 91

ტრაქტორები, აგრეგატები, საწველი აპარატები

ნოვა

თბილისი. ყაზბეგის გამზ. 2

218 20 70, 218 20 71, 218 12 13

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

პროაგრო

თბილისი. დავით ბაქრაძის ქ. 6, სართ. 1

235 55 67, (599) 99 11 51

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

პრო-ვიენ 1

თბილისი. ზაქარიაძის ქ. 8

239 67 97

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

როქი

თბილისი. წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. 91-ის მოპირდაპირე მხარეს

274 63 94, 274 63 96, 274 63 97

მემცანერეობის, მეფუტკრეობის ქიმიური საშუალებები, სათესლე მასალა

საგა – თერმა იმპორტი

თბილისი. ყაზბეგის გამზ. 29ა

225 21 01, 222 64 26, 237 40 59

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

სი-თი-ი

თბილისი. კახეთის გზატკ., ხილ-ბოსტნის ბაზის მიმდ. ტერიტ.

240 76 56

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მეღვინეობის ტექნიკა, საოჯახო საბაღე ინვენტარი

სპეცტექნიკა

თბილისი. ჯორჯ ბალანჩინის ქ. 7

259 69 86, (599) 70 10 30, (599) 99 44 99

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

ტექნაგროსერვისი

თბილისი. წყნეთის ქ., კორპ. 1ა

229 04 28

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

უნივერს ბიზნეს გრუპ

თბილისი. წულუკიძის ქ. 21

245 73 60, (577) 41 55 60 ფაქსი: 219 60 25

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

ჩემი მამული

თბილისი. წერეთლის გამზ. 142ა

234 07 97, 295 12 00, 235 72 41 ფაქსი: 235 72 41

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

ჯეო აგრო

თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ბ, ბ. 2

221 18 16, 232 13 12

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტექნიკა

ჯი-თი გრუპ

თბილისი. ჩოლოყაშვილის ქ. 48ბ

2 740 740

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

სინგენტა

თბილისი ა.წერეთლის გამზირი 142

235 33 02, 5999152 26, 599 50 62 35

მცენარეთა დაცვის საშუალებები, სათესლე მასალა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების შესამენად კარგი საშუალებაა ლიზინგი.

აგროლიზინგის მიმართულებით საქართველოში ცოტა კომპანია მუშაობს, პირველი მათ შორისაა

„ალიანს ჯგუფი“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. 47/57

ტელ: (+995 32) 242 41 81; ფაქსი: (+995 32) 299 81 12

ელ-ფოსტა: info@agh.ge

გამოცემას საფუძვლად დაედო გამოკვლევა - საქართველოს მთიან რეგიონებში ბიოაგროპოტენციალის ოპტიმალური გამოყენების, სასოფლო-სამეურნო კოოპერაციის წინაპირობების შექმნისა და ფერმერი ქალების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობისთვის.

